პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ¢ თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 / მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა.| კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება — 5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— ესპანეთმა ახალი ჯარი გადასხა მაროკოში.

— ბესარაბიაში გლეხთა მოძრაობა ფართე ხასიათს ღებულობს.

— ინდოეთის ზოგიერთა ადგილებში გაჩნდა შავი ჭირი.

— საფრანგეთში ამოიჭრა ძლიერი გრიგალი, რომელმაც დაანგრია რამოდენიმე სახლი.

— 7 ოქტომბერს ლონდონში მაკდონალდის თავმჯდომარეობით გაიხსნება ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 221 (1076) შაბათი 27 სექტემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 221 (1076)

თბილისის მუშებო, მუშა-ქალებო და წითელ-არმიელებო—

ყველა დემონსტრაციაზე!

მუშათა კლასისა და ჩამორჩენილ ერების მოსისხლე მტრის, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

იმპერიალიზმის დამხმარე ყვითელი ინტერნაციონალის, საერთაშორისო მენშევიზმის, პროლეტარიატის მოღალატე ბელადების წინააღმდეგ!

პირველი და მესამე ინტერნაციონალის რევოლიუციონური დროშის ქვეშ!

თბილისის მუშებო, მუშა-ქალებო და წითელარმიელებო

ყველა დემონსტრაციაზე!

ამხანაგებო!

დღეს, მუშათა კლასის საერთაშორისო ბრძოლის საძირკვლის ჩამყრელი პირველი ინტერნაციონალის მესამოცე წლის თავზე,—მთელი მსოფლიოს მუშები გამოდიან პროტესტით ყვითელი მეორე ინტერნაციონალის მოღალატური და გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მეორე ინტერნაციონალისმიერ დაწყებულ ტყუილის და ცილისწამების კამპანიაზე თბილისის პროლეტარიატმა პასუხი უნდა გასცეს ერთსულოვანი გამოსვლით შეუდრეკელი კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ, მსოფლიო ფაშისტური მენშევიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ლოზუნგების ქვეშ.

მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისათვის, კაპიტალის დამხობისათვის, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის მსოფლიო მენშევიზმის წინააღმდეგ, რევოლიუციონური აღმოსავლეთის ჩაგვრის წინააღმდეგ, იმ ათასობით რევოლიუციონურ მუშების და გლეხების განთავისუფლებისათვის, რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიული ევროპის და ამერიკის ციხეებში, უნდა გამოვიდეს დღეს თბილისის მუშათა კლასი თბილისის ქუჩებში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.
მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი.
საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

ამხანაგებო!

ოცდა შვიდ სექტემბერს სრულდება 60 წელი პირველი „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის“ დაარსების დღიდან. სამოცი წლის წინად საძირკველი ჩაეყარა მუშათა კლასის რიგების საერთაშორისო გაერთიანებას შეერთებული ბრძოლის საწარმოებლად ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამ დღეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ჯამს უკეთებს სამოცი წლის ბრძოლას, ის ითვლის თავის მტრებს და მეგობრებს და ირჩევს გზას შემდეგი ბრძოლისათვის ჯერ კიდევ გაუნადგურებელ კაპიტალის წინააღმდეგ.

ამ დღეს ყველა ქვეყნების მუშათა კლასი ხელახლა გამოდის ქუჩებზე და აცხადებს, რომ ის შეუდრეკელად იბრძოლებს პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის.

როგორ საერთაშორისო პირობებში დღესასწაულობს პროლეტარიატი პირველი ინტერნაციონალის სამოცი წლის თავს და ამასთან დაკავშირებით, როგორია ის ლოზუნგები, რომლებითაც გამოდის მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი?

მაკდონალდის „მუშათა მთავრობის“ ჩადგომა ხელისუფლების სათავეში ინგლისში, ერრიოს მთავრობის შექმნა საფრანგეთში, ფაშიზმის გახრწნა იტალიაში—ყველაფერი ეს მუშათა კლასის და გლეხობის ზოგიერთ წრეებში ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს დადგა მშვიდობიანობის ხანგრძლივი პერიოდი, თითქოს ქრება ახალი ომის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი შეტევის საშიშროება.

უკანასკნელი დროის ამბებმა გადაჭრით უნდა მოსპონ ასეთი ილიუზიები.

ხანმოკლე სიწყნარისა და შრომის და კაპიტალის შორის წარმოებულ ნელ პოზიციურ ბრძოლის შემდეგ ხელახლა დაიწყო შეტევა მსოფლიოში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ შეტევას ხელმძღვანელობს და მისი მთავარი მონაწილეა მეორე ინტერნაციონალი მისი ბელადების, მუშათა კლასის საქმის დახელოვნებული მოღალატეების და გამყიდველების სახით.

თავის დროზე, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფოები ერთმანეთს ასწრებდნენ საბჭოთა კავშირის ცნობაში, კომუნისტური პარტია აფრთხილებდა საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს:

„მიუხედავათ ჩვენი ცნობისა, თქვენ მაინც სადარაჯოზე იყავით! ჩვენსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის შეუძლებელია ხანგრძლივი ზავი! ნუ მიეცემით მშვიდობიანობისა და სიწყნარის ეპოქის დაწყების ილიუზიას, რადგან კაპიტალიზმი ჯერ არ არის დამარცხებული. მას კიდევ აქვს ძალა, რადგან მეორე ინტერნაციონალს საერთაშორისო ბურჟუაზიის საუკეთესო და ერთგულ მოკავშირეს ჯერ კიდევ აქვს გავლენა“.

ასეც მოხდა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იმპერიალიზმს არასოდეს ისე არ განუვითარებია შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როგორც ის ეხლა ჩადის მას.

ინგლისში დაიწყო საშინელი კამპანია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ.

ამავე დროს ინგლისის ეგრეთწოდებული „მუშათა მთავრობა“ (ამერიკასა და საფრანგეთთან ერთად) ერევა ჩინეთის საქმეებში, აჯანყებას აწყობს ავღანისტანში (საბჭოთა თურქესტანის საზღვარზე), სპარსეთში, ოსმალეთში და სხვაგან.

ამერიკის კაპიტალი ხელახლა გადადის შეტევაზე.

მთელი ამ შეტევის დასასრულს წარმოადგენს უბადრუკი მენშევიკური ავანტიურა საქართველოში, რომელიც მოწყობილი იყო იმპერიალისტური ერთა ლიგის კარნახით; ამ უკანასკნელს ძილში მხოლოდ ჩვენი ბაქოს ნავთი ესიზმრება. მენშევიკური ავანტიურა მოფიქრებული იყო მეორე ინტერნაციონალის ბელადების კაბინეტში. მას ფულს აძლევდა საერთაშორისო ბურჟუაზია.

ეს უკანასკნელი ცდა ისეთივე მარცხით დამთავრდა, როგორც ყველა წინანდელი გამოსვლები მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პირველი ინტერნაციონალის დაარსების 60 წლის თავზე, როდესაც კომინტერნი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს მოუწოდებს კაპიტალის დამხობისაკენ, როდესაც ის მოუხმობს მზათ იყოს ახალ ბრძოლისათვის და მჭიდროთ შეაკავშიროს პროლეტარიატის რიგები „საერთაშორისო რევოლიუციის ციხე-სიმაგრის—საბჭოთა კავშირის“ გარშემო,—ამ დროს დახელოვნებული გამყიდველები მეორე ინტერნაციონალიდან „ცილისწამების და სიძულვილის“ გაფთრებულ კამპანიას აწარმოებენ, ისინი ანვითარებენ ბრძოლის კამპანიას მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მეორე ინტერნაციონალი თავისი წარმომადგენლების სახით ერთა ლიგის ყრილობაზე მოითხოვს აშკარა ჩარევას საბჭოთა კავშირის და საბჭოთა საქართველოს საქმეებში!

მეორე ინტერნაციონალი მოუწოდებს ევროპის და ამერიკის მუშებს პროტესტი განაცხადონ „ქართველი ერის განადგურების და დამონავების წინააღმდეგ“!

მეორე ინტერნაციონალი მონაწილეობას იღებს ჩინეთის წინააღმდეგ დაწყებულ შეტევაში, ის მონაწილეობას იღებს პროლეტარული რევოლიუციის რეზერვების დარბევაში აღმოსავლეთში, რომელსაც საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები აწარმოებენ!

მეორე ინტერნაციონალი აშკარათ გადადის საერთაშორისო პროლეტარიატის უბოროტეს მტრების ბანაკში.

მეორე ინტერნაციონალი ქომაგია ბურჟუაზიის, მისი მოკავშირე მუშათა კლასის დახრჩობის საქმეში. მისი ლოცვა-კურთხევით წვალობენ ევროპის საპყრობილეებში ათიათასობით რევოლიუციონური მუშები და გლეხები; მისი დახმარებით იღებს მსოფლიო ბურჟუაზია ასეულ მილიონებს მილიტარიზმის ურიცხვი არმიის შესაიარაღებლად: მისი წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას აღმოსავლეთის კოლონიების ხალხთა—ინდუსების, ჩინელების, ეგვიპტელების და სხვ. დაჩაგვრა-დამონებაში.

ამის საპასუხოთ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები როგორც ერთი კაცი გამოვლიან ქალაქების და სოფლების ქუჩებზე პროლეტარული რევოლიუციის წითელი დროშებით და დაანახვებენ ყველას, თუ როგორ აფასებენ ისინი ეხლანდელ ამბებს.

თბილისის მუშები თავისი გამოსვლით დაამტკიცებენ იმას, რომ ისინი სრული ერთგული არიან საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის საქმის, დაამტკიცებენ, ქართული მენშევიზმის საზღვარ-გარეთელ საცოდავ ნარჩენებს, რომ მათი საქმე საქართველოში საუკუნოდ დაიმარხა!

პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისათვის, შეუბრალებელ კლასიურ ბრძოლისთვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ათიათასობით დაპატიმრებულ ამხანაგების განსათავისუფლებლად ევროპის ბურჟუაზიის ციხეებიდან, პატარა ერების განსათავისუფლებლად კაპიტალის მძიმე უღლისაგან, მუშათა კლასის გამყიდველებისა და მოღალატეების მეორე ინტერნაციონალის ბელადების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირზე ახალი შემოტევის წინააღმდეგ, საბჭოთა საქართველოს საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ—გამოდის დღეს თბილისის პროლეტარიატი.

ძირს მენშევიკური ავანტიურისტები—ბურჟუაზიის ლაქიები!

ძირს მეორე ინტერნაციონალი!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელსაც მტკიცედ აღუმართავს პირველი ინტერნაციონალის დროშა!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ინტერესების სადარაჯოზე მედგრად მდგარ წითელ არმიას!

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილ. კომიტეტი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

მენშევიზმი უნდა მოკვდეს, რომ რევოლიუციამ გაიმარჯვოს

ეს უბრალო ფრაზა არ არის საგიტაციოთ ან, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ ხოლმე, სადემაგოგიოთ წამოსროლილი.

მოხუც ბებელმა განაცხადა ერთხელ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რომელიღაც ყრილობაზე, მგონია დრეზდენში, სადაც მოხდა ისტორიული შეტაკება რევიზიონიზმ-რეფორმიზმისა და „რადიკალებს“ (მაშინ მარქსისტებს) შორის, რომ რეფორმიზმი საბედისწერო მოვლენაა „მეოთხე წოდების“ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და ის ძვირათ დაუჯდება მუშათა რევოლიუციას.

ეს თქმა, რომელიც შეიცავდა ჭეშმარიტებას მაშინდელ ეგრედ წოდებულ ბერნშტეინიანელების დასახასიათებლათ, წინასწარმეტყველური შეიქნა ერთი ათეული წლის შემდეგ მთელი სოციალდემოკრატიისათვისაც უკიდურეს მემარცხენეების გამოკლებით. და რაც აღსანიშნავია, ამ მართლაც საბედისწერო მოვლენას, მის დამღუპველ გავლენას ოფიციალური სოციალიზმისათვის, ძალა შემატა, სხვათა შორის, იმავე ბებელის ორპირულმა პოლიტიკამ მისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში.

რა მოხდა?

მოხდა ის, რომ სოციალდემოკრატია შეუსისხლხორცდა ბურჟუაზიულ წესწყობილებას და დაჰკარგა პროლეტარული კლასიური სახე, რომლითაც ხასიათდებოდა ის ამ ოცი წლის წინად (დრეზდენი, 1903 წ). ამიტომ ყოველი რევოლიუციონური მოძრაობა პროლეტარიატისა, მიმართული ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ, აღმოჩნდა იმავე დროს მიმართული სოციალდემოკრატიის წინააღმდეგაც, რადგან შეეხეჩა მას თავის მსვლელობის გზაზე ამ ციხე-სიმაგრეების ასაღებად. ამნაირად მთელი ბურჟუაზიული სამყაროს სისტემაში „მუშათა პარტია“, სოციალდემოკრატია შეიქნა, როგორც ერთი აუცილებელი, დღეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი, ძალა. მხოლოდ ბეცებს, ძალათ დაბრმავებულებს, უიმედოთ დაკარგულებს შეუძლიათ წამოაყენონ ამ დებულების წინააღმდეგ ის „ფაქტი“, რომ აქა-იქ პარლამენტებში ან მათ გარეშე მენშევიზმი გამოდის „ოპოზიციონური“ წრიპინით ამა თუ იმ მთავრობის, ან ბურჟუაზიის ამა თუ იმ ფრაქციის წინააღმდეგ „ხალხის“, მშრომელთა ინტერესების „დასაცავათ“. ეს არის უდიდესი ფალსიფიკაცია სინამდვილის ჭეშმარიტი აზრისა. რადგან „განათლებული“ ბურჟუაზიის (ლლოიდ-ჯორჯი, ნიტტი, კაიო, ერრიო) ანგარიშში სრულიად არ შედის ის, მისთვის სრულიადაც არ არის სასარგებლო ის, რომ სოციალდემოკრატია მთლად დაადუმოს და ხანდახან არ ააყვიროს იმ ზომების წინააღმდეგ, რომლებიც ერთათ აღებული სჭედავენ ხუნდებს პროლეტარიატისა და მთელი დამონებული ხალხების გასათანგავათ. მხოლოდ ბრმას არ შეუძლია დაინახოს, რომ ფორმალური „ოპოზიცია“—იქ, სადაც ამას კიდევ ადგილი აქვს დღეს—ნებადართული, თვით ნაბრძანები და ნაკარნახევია ბურჟუაზიის მიერ, რათა ამ ვითომდა „ოპოზიციონური“ ყვირილის, ვითომ ალიაქოთისა და ფართიფურთის ატმოსფერაში გააკეთოს ბურჟუაზიამ თავისი საქმე ისე, რომ არ გამოიწვიოს აქტიური წინააღმდეგობა პროლეტარიატის იმ საკმაოდ დიდ ნაწილში, რომელიც კიდევ მისდევს მოღალატე სოციალიზმის ქურუმებს.

რასკოლი პროლეტარიატის—აი საბედისწერო მოვლენა ჩვენი დროის და იარაღი ამ რასკოლის გასამუდმივებლად არის ბურჟუაზიის ხელში დღეს მენშევიკური სოციალდემოკრატია.

არ არის არც ერთი რეაქციონური გამოსვლა ბურჟუაზიისა საშინაო ან საგარეო პოლიტიკის სფეროში დამონებული კლასების თუ ერების წინააღმდეგ, რომლის მონაწილე არ იყოს მენშევიკური „მუშათა პარტიები“ და მათი ყვითელი ინტერნაციონალი;

არ არის არც ერთი სისაძაგლე, არც ერთი ავაზაკობა, არც ერთი მუხანათობა ბურჟუაზიის მიერ დაწყებული (სადაც არ უნდა იყოს ეს: ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში თუ ახალშენებში), რომელიც ტარდებოდეს სოციალდემოკრატიის დაუხმარებლათ.

ასეა დღეს ყველგან. მაგრამ ასე როდი ესმოდა სოციალისტების როლი პირველ ინტერნაციონალს, მარქსის ინტერნაციონალს. სოციალდემოკრატიამ უღალატა ამ ინტერნაციონალს, უღალატა მარქსის ანდერძს, უღალატა პროლეტარიატს და დამონებულ ხალხებს.

ბრძოლა ამ მოღალატეების წინააღმდეგ, განადგურება მათი გავლენისა მუშათა კლასში—არის პირველი ინტერნაციონალის ანდერძის შესრულება და მის მიერ დასახული მიზნების მიღწევა.

ან იცოცხლებს სოციალდემოკრატია და დამარცხდება რევოლიუცია, რაც ისტორიულათ წარმოუდგენელია, ან გაიმარჯვებს პროლეტარიატი და მოკვდება სოციალდემოკრატია.

ან ერთი ან მეორე!

მესამე გამოსავალზე ფიქრი მიგვინდვია შარლატნებისთვის...

მენშევიზმი და მენშევიკური მეორე ყვითელი ინტერნაციონალი—ეს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ფარხმალია რევოლიუციონური პროლეტარიატისა და დამონებული კოლონიალური ხალხების წინააღმდეგ მიმართული.

მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიული პარტიები—ეს მოწინავე მებრძოლი რაზმია პროლეტარიატის და დაჩაგრულ ერების წინააღმდეგ შეტევაზე გადასულ მსოფლიო ბურჟუაზიისა.

სამოცი წლის თავზე

1864 წლის 28 სექტემბერს ლონდონში დაარსებულ იქნა „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა“, პირველი ინტერნაციონალი.

მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობა, ბურჟუაზიის დამხობა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, კომუნიზმის განხორციელება,—ასეთი მიზნები დაუსახა მარქსმა ინტერნაციონალს და საერთაშორისო პროლეტარიატს.

მეტად მძიმე პირობებში ვითარდებოდა პირველი ინტერნაციონალის მუშაობა. ის განიცდიდა ორგანიზაციული და იდეური ჩამოყალიბების პერიოდს. მასში შედიოდენ მრავალი სხვადასხვა რევოლიუციონური ჯგუფები. შიგნით სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა მარქსისტებსა პრუდონისტებსა და ბაკუნისტებთან. ცალკე ქვეყნებში ის იყო მხოლოდ ისახებოდენ ნაციონალური ორგანიზაციები. ამავე დროს ეს იყო ეპოქა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების. ბურჟუაზია მძლავრად გრძნობდა თავს.

ყველა ამ მიზეზებმა და კერძოდ პარიზის კომუნის განადგურებამ ბოლო მოუღეს მუშათა პირველ საერთაშორისო ორგანიზაციას.

მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებათა, პირველი ინტერნაციონალი პირნათლად ემსახურებოდა მარქსის მიერ წამოყენებულ ლოზუნგებს. მისი გავლენა თანდათან ვრცელდებოდა მუშათა მასებზე, რომელთა რევოლიუციონურ დარაზმვას და გამოსვლებს ის უწევდა ხელმძღვანელობას. მან ჩასწერა ბრწყინვალე ფურცლები მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში.

პირველი ინტერნაციონალის დაარსებიდან განვლო 60 წელმა.

რას ვხედავთ დღეს?

ერთის მხრივ—არსებობს მეორე ინტერნაციონალი, რომელმაც ლაფში ამოსვარა მარქსის ინტერნაციონალის დროშა, სამარცხვინოდ უღალატა მასზე წარწერილ ლოზუნგებს და ბურჟუაზიის მაჩანჩალა გახდა.

მეორე მხრივ—ეს დროშა მაღლა აფრიალა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მედგრად იბრძვის კაპიტალისტური წყობილების დანგრევისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

მუშათა კლასმა დედამიწის ერთმეექვსედზე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, კიდეც განახორციელა პირველი ინტერნაციონალის ანდერძი—დაიპყრო პოლიტიკური ძალა-უფლება, მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა და საძირკველი ჩაუყარა კომუნისტურ მშენებლობას.

კომუნისტურ ინტერნაციონალს უხდება ბრძოლა არა მარტო იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან, არამედ მის დამქაშ ყვითელ ინტერნაციონალთან. ბურჟუაზია დღეს მხოლოდ ამ უკანასკნელის საშუალებით ახერხებს რევოლიუციონური ტალღის შეჩერებას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მეორე ინტერნაციონალის მეთაური მაკდონალდი, დღეს უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოს—ინგლისის პრემიერ-მინისტრი კლასობრივ ზავის მოციქულად გამოდის და მუშათა გაფიცვების წინააღმდეგაც კი აშკარად ილაშქრებს. პროლეტარული რევოლიუცია ხომ კარგა ხანია „მომაკვდინებელ ცოდვადაა“ გამოცხადებული მის და ყვითელ ინტერნაციონალის სხვა ხელმძღვანელების მიერ.

იმავე მაკდონალდის „მუშათა“ მთავრობა სისხლის მორევში ახრჩობს კოლონიების მრავალმილიონიან დაჩაგრულ ხალხების განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

ჰენდერსონის (ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი) აგენტები ათასგვარ პროვოკაციას და ხრიკებს მიმართავენ კომუნისტური პარტიის გაძლიერების წინააღმდეგ.

გერმანიის მთავრობა არაჩვეულებრივ რეპრესიებს მიმართავს კომუნისტური პარტიის დასაშლელად, მის გავლენის შესასუსტებლად. ამის დასამტკიცებლად საკმარისია წაიკითხოთ თუკინდ დღეს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული, გერმანიის შ. ს. სამინისტროს ცირკულიარი. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ეს ის მთავრობაა, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს მეორე ინტერნაციონალის უმთავრესი პარტია, გერმანიის სოციალ-დემოკრატია, სოციალ-დემოკრატია, რომლის ხელები გასვრილია კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსენბურგის სისხლით.

მთელმა მეორე ინტერნაციონალმა მთლიანად დაუჭირა მხარი დოუესის გეგმას, რომლის მიზანია გერმანიის ხალხის „მოწესრიგებული“ გაძალტყავება.

ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნების საკნებში ათი-ათასობით არიან ჩაყრილნი მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომუნისტები და რევოლიუციონური მუშები. და ეს მეორე ინტერნაციონალის პარტიების „ლოცვა-კურთხევით“, ხშირად აშკარა მონაწილეობით.

მეორე ინტერნაციონალს განსაკუთრებით აქვს ნიშანში ამოღებული ოქტომბრის რევოლიუცია და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ის ამ შემთხვევაში გულმოდგინედ ასრულებს ბურჟუაზიის დავალებას, რაც მდგომარეობს ევროპის მუშების თვალში საბჭოთა წყობილების გაბახების და მათ ამხედრების ცდაში მშრომელთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. მრავალ ფაქტებს შორის ამის ერთი უკანასკნელი ნიმუშთაგანია ფრანგ „სოციალისტების“ გამოსვლები, რომელთა მიზანი იყო, ჩვენებურ მენშევიკების ავანტიურის გამო, ევროპის იმპერიალისტების ჩარევის გამოწვევა საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში.

ამგვარად, მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები აშკარად ებრძვიან თავიანთ ქვეყნების მუშათა კლასს, ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებული, ამავე დროს იმავე ბურჟუაზიასთან ერთად გაშმაგებით ილაშქრებენ რევოლიუციის ციხე-სიმაგრის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ასეთმა მათმა გამცემლობამ გამოიწვია მსოფლიო მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის მთლიანობის დარღვევა, კერძოდ პროფკავშირების მოძრაობის გათიშვა.

დღეს კომუნისტური ინტერნაციონალის მთელი ენერგია მიმართულია ამ მთლიანობის აღდგენისკენ, მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანებისაკენ კაპიტალისტურ წყობილებაზე მწყობრი, შემჭიდროვებული რიგებით შესატევად.

რა თქმა უნდა, ამ გზაზე გეჩხირებიან ლონდონის დღევანდელი ინტერნაციონალის და ამსტერდამის გაერთიანების ზედაფენები. მათ ხომ ბევრი ხანია დავიწყებას მისცეს პირველი ინტერნაციონალის ერთი ძირითადი მცნებათაგანი—მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობა, როგორც სხვა მისი ლოზუნგები.

საერთაშორისო მუშათა კლასი იხდის ამ დღეებში ამ ინტერნაციონალის 60 წლის თავს. ყვითელი ინტერნაციონალის „გმირები“ შეეცდებიან ეს დღე გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ, მოიწადინებენ მოაჩვენონ მუშათა კლასს თავი პირველ ინტერნაციონალის მემკვიდრეებათ, მისი იდეების და ლოზუნგების მატარებლებად. ამავე დროს ისინი მოინდომებენ კომუნისტურ ინტერნაციონალის გაშავებას, ოქტომბრის რევოლიუციისა და საბჭოთა წყობილებისათვის ჩრდილის მიყენებას.

მაგრამ კომუნისტური პარტიები და რევოლიუციონური მუშათა კლასი გამოააშკარავებენ ამ ვაჟბატონების მოღალატეობას და გაიძვერობას. ისინი საჯაროდ ამხელენ, რომ ლონდონის დღევანდელი ინტერნაციონალის მთელი პრინციპები და მოქმედება სრული უარყოფაა, ფეხქვეშ გათელვაა ლონდონის პირველი ინტერნაციონალის მიზნების და ამოცანების, მისი ბრძოლის გზების და საშუალებების.

მედგარი კლასობრივი ბრძოლა, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობის და მთლიანობის განმტკიცება, დაცვა საბჭოთა რესპუბლიკების, მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ძირს მეორე ინტერნაციონალი, როგორც ბურჟუაზიის აგენტის და მუშათა კლასის განთავისუფლების მტრის,—ამ ლოზუნგებით გამოვა მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი პირველი ინტერნაციონალის 60 წლის თავზე.

ეს ხელს შეუწყობს მეორე ინტერნაციონალის გარიყვას მუშათა კლასისაგან და ამ უკანასკნელს შემატებს მეტ რევოლიუციონურ შეგნებას და ენერგიას მომავალი დიდი სოციალური ძლევამოსილი ბრძოლისათვის.

მენშევიკური სოციალ-დემოკრატია იმპერიალიზმის მიერ მობილიზაციაქმნილი დაქირავებული ძალაა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დასამარება მენშევიკური მეორე ინტერნაციონალის არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იმპერიალიზმის დამხობის.

მუშებო, მუშა-ქალებო და ყველა მშრომელნო! შემოკრბით პირველი და მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ! ძირს მოღალატე მეორე ყვითელი ინტერნაციონალი!

ი. სტალინ-ჯუღაშვილი

საერთაშორისო მდგომარეობა

II

ამერიკის ჩარევა ევროპის საქმეებში და ლონდონის შეთანხმება კონტრიბუციის შესახებ

ლონდონის კონფერენცია ყალბი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პაციფიზმის ყველაზე უფრო სრული გამოხატულებაა. თუ მაკდონალდ-ერრიოს ჩადგომას ძალაუფლების სათავეში და ახმაურებას „ნორმალურ ურთიერთობათა დამყარების“ შესახებ საბჭოთა კავშირთან უნდა დაეფარა და მიეჩქმალა კლასთა გააფთრებული ბრძოლა ევროპაში და ბურჟუაზიული სახელმწიფოების სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი,—ანტანტის შეთანხმებას ლონდონში უნდა დაეფარა და მიეჩქმალა ინგლისის და საფრანგეთის გამწვავებული ბრძოლა ჰეგემონიისათვის ევროპაში, წინააღმდეგობის ზრდა ინგლისსა და ამერიკის შორის საერთაშორისო ბაზარზე გაბატონებისათვის წარმოებულ ბრძოლაში და გერმანიის ხალხის თავგანწირული ბრძოლა ანტანტის კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეხლა უკვე ადგილი აღარ აქვს ომს კლასთა შორის, გათავდა რევოლიუცია, ეხლა საქმის მოგვარება შეიძლება კლასთა თანამშრომლობით!—გაჰკივიან მაკდონალდები და რენოდელები. ეხლა უკვე ადგილი აღარ აქვს ბრძოლას საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ამერიკასა ¢ ინგლისს შორის, გერმანიასა და ანტანტას შორის. გათავდა ომი, ეხლა საქმის მოგვარება შეიძლება საერთო ზავით ამერიკის მეთაურობით!—ბანს აძლევენ მათ მეგობრები ლონდონის ხელშეკრულების დადებაში და ძმები მუშათა კლასის გაყიდვაში.—პაციფიზმის სოციალ-დემოკრატიული გმირები.

მაგრამ რა მოხდა ლონდონის კონფერენციაზე?

ლონდონის კონფერენციამდი სარეპარაციო საკითხს სწყვეტდა „მოკავშირეებისაგან“ დამოუკიდებლივ საფრანგეთი, რადგან ამ უკანასკნელს სარეპარაციო კომისიაში ჰყავდა უზრუნველყოფილი უმრავლესობა. რურის ოკუპაცია იყო გერმანიის სამეურნეო დეზორგანიზაციის საშუალება და გარანტია იმის, რომ საფრანგეთი გერმანიისაგან მიიღებდა ყველა სარეპარაციო გადასახადებს, ნახშირს და კოქს საფრანგეთის ლითონის მრეწველობისათვის, ქიმიურ ნაჩევარ ფაბრიკატებს და საღებავებს საფრანგეთის ქიმიურ მრეწველობისათვის და ელზასის საფეიქრო ფაბრიკატების უბაჟოთ შეტანას გერმანიაში. გეგმა განზრახული იყო მატერიალური ბაზის შესაქმნელათ საფრანგეთის სამხედრო და ეკონომიური ჰეგემონიისათვის ევროპაში. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ გეგმის განხორციელება არ მოხერხდა. ოკუპაციის მეთოდმა საწინააღმდეგო შედეგები გამოიღო. არც გადასახადები და არც ნატურით მიწოდებები საფრანგეთს არ მიუღია საკმაო რაოდენობით. დაბოლოს, თვითონ ავტორი ოკუპაციისა, პუანკარე, გადაყენებული იქნა აშკარა იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებისათვის, რომელიც ნიადაგს ამზადებდა ახალი ომისა და რევოლიუციისათვის. რაც შეეხება საფრანგეთის ჰეგემონიას ევროპაში, ის ვერ მოხერხდა არა მარტო იმიტომ, რომ ოკუპაციის და აშკარა ძარცვის მეთოდი შეუძლებელათ ხდიდა სამეურნეო კავშირს საფრანგეთის და გერმანიის მრეწველობის შორის, არამედ იმიტომაც, რომ ინგლისი გადაჭრით წინააღმდეგი იყო ასეთი კავშირის, რადგან ინგლისმა იცოდა, რომ გერმანიის ნახშირის და საფრანგეთის ლითონის შეერთება ძირს გამოუთხრიდა ინგლისის ლითონის მრეწველობას.

რა მოგვცა ყველა ამის ნაცვლათ ანტანტის კონფერენციამ ლონდონში?

პირველი—კონფერენციამ უარყო რეპარაციების საკითხების დამოუკიდებლათ გადაწყვეტა საფრანგეთის მიერ; კონფერენციამ აღიარა, რომ სადაო საკითხები საბოლოოთ გადაწყვეტილი უნდა იქნეს საარბიტრაჟო კომისიის მიერ, რომელშიაც შევლენ ანტანტის წარმომადგენლები ამერიკის წარმომადგენლის მეთაურობით. სხვანაირად რომ ვსთქვათ: თუ გერმანიის დარბევაზეა საქმე, ბარემ ერთად დავარბიოთ ყველამო.

მეორე—კონფერენციამ უარყო რურის ოკუპაცია და აუცილებლად სცნო მისი სამეურნეო (ეხლავე) და სამხედრო (ერთი წლის შემდეგ, ან უფრო ადრე) ევაკუაცია. მოტივები: რურის ოკუპაცია ეხლანდელ სტადიაში სახიფათოა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით და მიუღებელია გერმანიის გეგმაშეწონილი და სისტემატიური ძარცვის თვალსაზრისით. და ანტანტას, რომ განზრახვა აქვს საფუძვლიანად და სისტემატიურად ძარცვოს გერმანია,—ამაში, მგონი, ეჭვი არავის არ ეპარება.

მესამე—უარყო რა სამხედრო ინტერვენცია, კონფერენციამ სავსებით მოიწონა ფინანსიურ-სამეურნეო ინტერვენცია და აუცილებლად სცნო: ა) საემისიო ბანკის დაარსება გერმანიაში, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს მოკავშირეთა სპეციალურ კომისარს; ბ) სახელმწიფო რკინისგზების კერძო პირების ხელში გადასვლა;გზების მმართველობას კონტროლი უნდა გაუწიოს მოკავშირეთა სპეციალურმა კომისარმა; გ) მოკავშირეთა წარმომადგენლებისაგან შექმნილი უნდა იქნეს ეგრედ წოდებული „გადასახადთა კომიტეტი“, რომლის ხელში უნდა იყოს სარეპარაციო გადასახადები; რომელმაც სათანადო თანხები უნდა მისცეს გერმანიის ნატურით მიწოდებებს; რომელსაც შეუძლია სარეპარაციო გადასახადების ზოგიერთი თანხები (თუ მიზანშეწონილი არ იქნება მათი გადაგზავნა საფრანგეთში) დაბანდოს გერმანიის მრეწველობაში. ამრიგათ, ამ კომიტეტს საშუალება აქვს თავის ხელში დაიჭიროს გერმანიის ფულის ბაზარი. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ეს არის გერმანიის გადაქცევა ანტანტის კოლონიათ.

მეოთხე—კონფერენციამ აღიარა საფრანგეთის უფლება იძულებით გადაახდევინოს გერმანიას ნახშირი და ქიმიური პროდუქტები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მან აქვე დაუმატა, რომ გერმანიას უფლება რჩება მიმართოს საარბიტრაჟო კომისიას და მოითხოვოს ამ იძულებითი გადასახადების რაოდენობის შემცირება ანდა მათი სრული შეწყვეტა. ამით მან საფრანგეთის უფლება ნულამდი ანდა თითქმის ნულამდი დაიყვანა.

თუ ყველა ამას დაუმატებთ გერმანიის 800 მილიონ მარკის სესხს, რომელიც უნდა დაფარონ ინგლისის და, უმთავრესათ, ამერიკის ბანკირებმა, შემდეგ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კონფერენციაზე ბატონობდენ ბანკირები და უპირველეს ყოვლისა ამერიკის ბანკირები, მაშინ დამთავრებულ სურათს მივიღებთ: საფრანგეთის ჰეგემონიიდან არაფერი არ დარჩენილა, ჰეგემონია საფრანგეთის მაგივრათ ამერიკის ხელში გადავიდა.

ასეთია ლონდონის კონფერენციის შედეგები. ზოგიერთები მიღწეული შედეგების მიხედვით ფიქრობენ, რომ ამიერიდან ინტერესების წინააღმდეგობა ევროპის შიგნით უნდ

ჩრდილოს ამერიკის ჰეგემონიამ; რომ ამერიკა, რომელიც დაინტერესებულია თავისი კაპიტალის გატანით ევროპაში, შესძლებს ულუფაზე იყოლიოს ევროპის ქვეყნები და აიძულებს მათ ხელი შეუწყონ თავისი ბანკირების გამდიდრებას; ამის გამო მშვიდობიანობა ევროპაში, რომელიც მართალია იძულებით იქნა დამყარებული, შეიძლება ასე თუ ისე უზრუნველყოფილად ჩაითვალოს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ პერიოდისათვის.

ასეთი მსჯელობა არ არის სწორი.

პირველი—კონფერენციამ გერმანიის საკითხი გადაწყვიტა პატრონის (გერმანიის ხალხის) დაუკითხავად. შეიძლება, რასაკვირველია, გეგმების შემუშავება გერმანიის კოლონიათ გადაქცევის შესახებ, მაგრამ ცდა იმისა, რომ გერმანია ნამდვილად გადაქცეული იქნეს კოლონიათ, ეხლა, როდესაც ჩამორჩენილი კოლონიების დამორჩილებაც კი ძნელი ხდება,—ეს ნიშნავს ევროპის ასაფეთქებლად ყუმბარების ჩაწყობას.

მეორე—კონფერენციამ რამოდენიმეთ უკან დაახევია უკანასკნელი დროის განმავლობაში მეტად წინ წამოწეულ საფრანგეთს, რის გამო უპირატესობა ევროპაში ფაქტიურად ინგლისს მიენიჭა. მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საფრანგეთი შეურიგდება ასეთ მდგომარეობას, ამის იმედით დადგომა იქნებოდა ანგარიშის არ გაწევა ფაქტებისათვის, ანგარიშის არ გაწევა საქმეთა ლოღიკისათვის, რომელიც ჩვეულებრივ ყველა ლოღიკაზე უფრო ძლიერია.

მესამე—კონფერენციამ იცნო ამერიკის ჰეგემონია. მაგრამ ამერიკის კაპიტალი დაინტერესებულია ფინანსების მიწოდებაში საფრანგეთ-გერმანიის მრეწველობისათვის, მის ყველაზე უფრო რაციონალურ გამოყენებაში, მაგალითად, საფრანგეთის ლითონის მრეწველობის გერმანიის ნახშირის მრეწველობასთან დაკავშირების სახით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკის კაპიტალი გამოიყენებს თავის უპირატესობას ამ მიმართულებით.

მაგრამ ინგლისი ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას, რადგან ის მეტათ აფასებს და უფრთხილდება თავის ლითონის მრეწველობას.

დაბოლოს, ევროპა არ არის განცალკევებული ქვეყანა, ის დაკავშირებულია თავის კოლონიებთან, ის ამ კოლონიების წვენით სცხოვრობს. ფიქრი იმისა, რომ კონფერენცია შესძლებს რაიმეს შეცვლას ევროპისა და კოლონიების დამოკიდებულებაში, რომ ის შესწყვეტს ან შეაჩერებს წინააღმდეგობათა განვითარებას მათ შორის,—ეს იმას ნიშნავს, რომ გწამდეს სასწაულები და მათგან მოელოდე შველას.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან?

დასკვნა ერთია: ლონდონის კონფერენციას არ გადაუწყვეტია არც ერთი ძველი წინააღმდეგობა ევროპაში, მაგრამ სამაგიეროთ მან შეავსო ისინი ახალი წინააღმდეგობებით, წინააღმდეგობით ამერიკასა და ინგლისს შორის. ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისი ძველებურათ გააღრმავებს ანტაგონიზმს საფრანგეთსა და გერმანიის შორის იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს თავისი პოლიტიკური უპირატესობა კონტინენტზე. ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკა თავის მხრივ გააღრმავებს ანტაგონიზმს ინგლისსა და საფრანგეთს შორის იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს თავისი ჰეგემონია საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენ უკვე არ ვლაპარაკობთ იმ ღრმა ანტაგონიზმზე, რომელსაც ადგილი აქვს გერმანიასა და ანტანტის შორის. საერთაშორისო ამბებს განსაზღვრავენ ეს ანტაგონიზმები და არა იუზის და ერრიოს „პაციფისტური" სიტყვები. კანონი იმპერიალისტური ქვეყნების არათანასწორ განვითარებისა და იმპერიალისტური ომების აუცილებლობის შესახებ ეხლა უფრო მეტათ რჩება ძალაში, ვიდრე ოდესმე. ლონდონის კონფერენცია მხოლოდ ნიღაბს აფარებს ამ ანტაგონიზმებს იმისათვის, რომ შექმნას ახალი წინასწარი პირობები მათ არაჩვეულებრივ გასამწვავებლათ.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲒᲕᲐᲙᲚᲔᲑᲔᲜ

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ.—ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ.—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲐ.—ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲨᲘᲜᲐ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ.—ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲓᲐ.—ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲓᲒᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ.—ᲫᲘᲠᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲛᲮ. ᲩᲘᲩᲔᲠᲘᲜᲗᲐᲜ

მოსკოვი. 26 სექტ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იუზის უკანასკნელ გამოსვლის გამო განაცხადა:

„იუზის უკანასკნელი გამოსვლა სავსებით გამოხატავს მის პოლიტიკას უკანასკნელ კვირეებში. ამ ხნის განმავლობაში ის და ამერიკის რესპუბლიკანურ პარტიის მემარჯვენე ფრთა გამოდიოდენ, როგორც მსოფლიო რეაქციის და იმპერიალიზმის მთავარი ძალა, რომელიც მიმართულია კოლონიალურ ხალხთა და საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

იუზის ეხლანდელი არგუმენტები ისევე დაუსაბუთებელია, როგორც წინად და ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ატარებს შეურიგებელ მტრულ პოლიტიკას.

იმ დროს, როდესაც ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება პირველად აყენებს ურთიერთობას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის თანასწორობის და ორ საწინააღმდეგო სამეურნეო სისტემის აღიარების ნიადაგზე, იუზის დეკლარაცია სავსებით გამსჭვალულია იმ აზრით, რომ შეუძლებელია ასეთ საფუძვლებზე იქნას დამყარებული ურთიერთობა და სცდილობს პირისაგან მიწისა აღგავოს საბჭოთა წესწყობილება.

მას აზრადაც კი არ მოსდის ასეთი თანასწორობის შესაძლებლობა და ამიტომ მისი მოღვაწეობა ამ საკითხში ხელს უშლის კომპრომისს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის.

ორი წლის წინად, როდესაც მე ანალიზს უკეთებდი მსოფლიოს მდგომარეობას, მიუთითებდი ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმზე, როგორც მსოფლიო ურთიერთობათა ერთ მთავარ მამოძრავებელ ძარღვზე და აგრეთვე ხაზს უსვამდი ამერიკის იზოლიაციას, რომელიც არის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენათაგანი. ეხლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა; **ჩვენს წინაშე წარმოიშვა ფრიად აქტიური ინგლის-ამერიკის ბლოკი, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოების პოლიტიკის მთავარი ძალა, ხოლო დასუსტებული საფრანგეთი კი პუანკარეს უგონო პოლიტიკის წყალობით ჩამოქვეითებულია და თამაშობს მეორეხარისხოვან როლს.** ლონდონის კონფერენციაზე მიღწეული კაპიტალისტური მსოფლიოს გაერთიანება დაკავშირებულია იმასთან, რომ სარეპარაციო საკითხში საფრანგეთი აღარ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს და ასეთად გახდა ინგლის-ამერიკული ბლოკი.

დღევანდელ მომენტში ჩვენს წინაშე უეცრად გადაიშალა მსოფლიო იმპერიალიზმის გაძლიერებულ შეტევის სურათი. ჩინეთში აშკარა ინტერვენციის ფორმები, ავღანისტანში ინგლისის აგენტების მოქმედების გაძლიერება—მთელი რიგი ანალოგიური ფაქტებისა სპარსეთში, ქურთისტანში და არაბეთში, უკრაინის წინააღმდეგ ბანდიტურ გამოსვლების გაძლიერება დნესტრზე, ცანკოვის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლები ბულგარეთში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ მოწყობილი „აჯანყება" საქართველოში,—ყველაფერი ეს შეადგენს ერთ გრანდიოზულ სურათს იმპერიალიზმის არაჩვეულებრივ შეტევისას, რომელიც უეცრად თავს დაატყდა კოლონიალურ ხალხებს და რომელსაც ბოლოს და ბოლოს მიზანში ჰყავს ამოღებული საბჭოთა რესპუბლიკა.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია იმპერიალისტურ მსოფლიოს ზედაფენებში, რომელთაც სურთ ეხლა სამაგიეროს გადახდა.

ევროპის პოლიტიკის მნიშვნელოვან უთანხმოებათა დროებითმა მოგვარებამ ლონდონის კონფერენციაზე საშუალება მისცა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გაერთიანებული ფრონტით გამოვიდენ განთავისუფლებულ კოლონიალურ ხალხთა და საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

მაგრამ იუზის და მის მოკავშირეების იმპერიალისტურ მახინაციებს ჯერ-ჯერობით ძალიან უმნიშვნელო შედეგები მოჰყვა. ყოველ შემთხვევაში ჩინეთში მომხდარმა ინტერვენციამ თითქმის არაფერი არ მოუტანა სახელმწიფოებს. საქართველოში მომხდარი პროვოკაცია უშედეგოთ ჩაიარა. ჩვენ ვიცით, რომ ამ პროვოკაციას, მისი რეჟისორების გეგმის თანახმად, უნდა გამოეწვია საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა. **სინამდვილეში კი მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა საბჭოთა ხელისუფლების ძალა და ერთა ლიგის სრული გაკოტრება.**

მაგრამ არ გვაქვს საბუთი ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ იმპერიალისტების მხრივ ახლო მომავალში მოსალოდნელია საბჭოთა კავშირის ინტერვენციის და ეკონომიურ ბლოკადის ცდა ამა თუ იმ ფორმით. ამას ამტკიცებს იუზის შეურიგებელი გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს მსოფლიო ურთიერთობათა ახალ გართულების შესაძლებლობას, რაც ესოდენ ემუქრება მშვიდობიანობის საქმეს. **ხალხების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა მშვიდობიანობის საქმე აიღონ თავიანთ ხელში და ლაგამი ამოსდონ თავგასულ კაპიტალისტებს".**

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ლონდონი 25 სექტ. ინგლისის განათლების მინისტრმა ტრეველიანმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ, თუ **მთავრობას არ მისცეს საშუალება განახორციელოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, საეჭვოა რომ მეორე ასეთი შემთხვევა მიეცეს მას მახლობელ წლების განმავლობაში, ვინაიდან საბჭოთა კავშირი მაშინ მიმართავს სხვა ქვეყნებს,** მაგალითად, საფრანგეთს, იტალიას და იაპონიას, რომლებიც მზად არიან ხელში ჩაიგდონ საბჭოთა კავშირის ვაჭრობა.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘ

ლონდონი, 28 სექტ. გრძელდება ბრძოლა მუშათა კლასსა და ლიბერალებს შორის ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გარშემო. ლიბერალები ძველებურად მოითხოვენ განსაკუთრებულ გარანტიებს, ვიდრე მისცემდენ სესხს საბჭოთა მთავრობას. „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს: „თუ მოცემული იქნებოდა გარანტია იმისა, რომ მთელი სესხი ინგლისში დაიხარჯება, ეს დააკმაყოფილებდა იმ წრეებს, რომლებიც მოითხოვენ სესხის უზრუნველყოფასო".

ᲢᲠᲔᲓᲘᲣᲜᲘᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ლონდონი. 25 სექტ. პროფკავშირთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ დანიშნა განსაკუთრებული დელეგაცია საბჭოთა კავშირში გასამგზავრებლათ. დელეგაციას იწვევს სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო. დელეგაციის მიზანია შეისწავლოს საბჭოთა კავშირის პროფესიონალური მოძრაობა და აგრეთვე მრეწველობის და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. დელეგაცია მიემგზავრება 6 კვირით. დელეგაციაში შევლენ: გერბეტ სმიტი—მემაღაროებისაგან, პერსელი—ავეჯეულობის წარმოების მუშებისაგან, ბრომლეი—მემანქანეების და ცეცხლის გამჩაღებლებისაგან, ტილლეტი—ტრანსპორტის მუშებისაგან, ჯონ-ტერნორი—ქარგლებისაგან, ფიმბლეიმ—ფეხსაცმელების სახელოსნოების მუშებისაგან.

ბრომლეი არის გენერალურ საბჭოს მდივანი, პერსელი იყო გულის კონგრესის თავმჯდომარე, ბრომლეი და პერსელი ცნობილი არიან, როგორც მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის მომხრენი. ტერნორი—ძველი ანარქისტი და კრაპოტკინის მეგობარი.

ვენა. 25 სექტ. უნგრეთის პოლიტიკური წრეები ისევ დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას. პარლამენტში განსახილველათ ხელშეკრულება წარდგენილი იქნება ოქტომბრის დასაწყისში. ხელშეკრულების დამტკიცებას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდება პარლამენტის მიერ. მთავრობის პარტიები კმაყოფილი არიან ხელშეკრულებით და ოპოზიციაც არას გზით არ წავა ამის წინააღმდეგ. მხოლოდ მემარჯვენეთა პატარა ჯგუფი, 26 კაცისაგან შემდგარი, რომელიც წარმოადგენს კლერიკალურ პარტიას, იმუქრება, რომ პარლამენტში ასტეხავს განგაშს ამ საკითხის გარშემო.

უნგრეთის გაზეთების ცნობით, ჰუნგრეთი პოლიტიკურათაც და ეკონომიურათაც ერთობ არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების აღდგენით.

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ᲪᲐᲙᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ.—ᲔᲠᲛᲘᲢᲐᲟᲘ ᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲐ.—ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲓᲢᲨᲘ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲫᲕᲠᲐ 100 ᲡᲐᲮᲚᲡ.—ᲛᲣᲨᲔᲑᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲡ.—ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲣᲚᲐ.—ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ.—ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ.—ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ, ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ.

ᲪᲐᲙᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ.

მოსკოვი. 26 სექტ. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა გაუგზავნა ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომს ასეთი შინაარსის დეპეშა:

„სრულიად რუსეთის ცაკი თანაგრძნობას უცხადებს მშრომელ მოსახლეობას მოვლენილ სტიქიურ უბედურების გამო და იმედს გამოსთქვამს, რომ ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომის ღონისძიებით, მთელი საბჭოთა რუსეთის მცხოვრებთა და ცენტრალური ხელისუფლების აქტიური დახმარებით სასწრაფოდ იქნება აღმოფხვრილი წყალდიდობის შედეგები".

ᲔᲠᲛᲘᲢᲐᲟᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ.

ლენინგრადი. 26 სექტ. ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომმა მოხსნა სამხედრო წესები ლენინგრადში, ვინაიდან წყალდიდობის უშუალო საფრთხე განვლილია.

ერმიტაჟი სრულებით არ დაუზარალებია წყალდიდობას, მისი ძვირფასი სამხატვრო ნივთები უვნებლად არის დარჩენილი, ცენტრალურმა მშველელმა ბაზამ დახმარება გაუწია ლენინგრადში წყალდიდობის დროს 1100 კაცს. წყალიდან ამოღებულ იქნა 200 კაცი, რომელთაც დაკარგული ჰქონდათ გრძნობა.

კრონშტადტში, საბჭოთა ნავთსადგურში, გრიგალმა მოაგლიჯა ლუზებს 100 ტონიანი ასაწევი კრანი. **ქალაქ კრონშტადტში სახურავები გადააძრო ქარმა 100 სახლს,** დანგრეულია ყველა გალავანი, განადგურებულია მრავალი ხეები კერძო და საზოგადო ბაღებში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ ᲓᲚᲔᲡ

ლენინგრადი, 26 სექტ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს, საგუბერნიო აღმასკომის მდივანმა ამხ. კონდრატიევმა აღნიშნა, რომ მიუხედავად წყალდიდობის მოულოდნელობისა, **წინასწარი სიფრთხილისა და დახმარების აღმოჩენისათვის ზომები უკვე თავის დროზე იყო მიღებული. ყველა დაზარალებულები სასწრაფოდ იქნენ მოთავსებული სხვა ბინებში. ლენინგრადის პროლეტარიატმა დიდი თავგანწირულება და დისციპლინა გამოიჩინა.** მთავრობის განკარგულების მიღებამდე, მაღლა სართულის მცხოვრებლებმა თავისით დაუთმეს ბინები ყველა დაზარალებულებს.

მიუხედავად იმისა, რომ უბედურება მეტად საგრძნობი იყო, **საზოგადოებრივი ცხოვრება არ დარღვეულა. ჯერ კიდევ გუშინ საბჭოთა დაწესებულებები ნორმალურად მუშაობდნენ. დღეს განახლდა ნორმალური მეცადინეობა სკოლებში. კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ ერთი დღის განმავლობაში სავსებით აღადგინა ტრამვაის მოძრაობა.** წყალდიდობისაგან მცხოვრებლებისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობას გამოანგარიშება ჯერ შეუძლებელია.

დღეს ქალაქს უკვე ჩვეულებრივი სახე აქვს. წყალდიდობის კვალი აჩნია მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებს, სადაც სავსებით დანგრეულია ტორცის ქვაფენილები. ცეცხლის მქრობელი ნაწილები აწარმოებენ მუშაობას წყალის გადასაქაჩავად და ელექტრონის ქსელის გასაწმენდად. **ლენინგრადის ქარხნების მეტი ნაწილი უკვე შეუდგა მუშაობას.**

ᲖᲐᲠᲐᲚᲘ.

ლენინგრადი. 26 სექტ. ლენინგრადის მრეწველობას წყალდიდობამ მიაყენა ზარალი დაახლოვებით 11 მილიონი მანეთის რაოდენობით. ყველაზე უფრო დაზარალდა საფეიქრო ტრესტი, რომლის ზარალი აღწევს 1 ნახ. მილიონამდე.

რუსულ მუზეუმში წყალდიდობამ დაძირა სარდაფებში 500 ფუთი სხვადასხვაგვარი ეთნოგრაფიული ნივთები. ჯერ-ჯერობით ამოღებულია მხოლოდ 250 ფუთი; ნივთების ნაწილი ძლიერ დაზიანებულია. **დაძირულია აგრეთვე ყოფა-ცხოვრების მუზეუმი ყოფ. ბობრინსკის განცალკევებულ სახლში,** რომელშიაც დაზიანებულია არქივის, ძველი ბისერის და ძველი დროის ყოფა-ცხოვრების ნივთების კოლექციები.

მოწვეულია ხე-ტყის მრეწველობის ორგანიზაციების თათბირი, რომელზედაც შემუშავებული იქნება ზომები არხების და მდინარეების გასაწმენდათ.

ექსპერიმენტალური ჰიგიენის ინსტიტუტში, სადაც იმყოფება ცნობილი პავლოვის ლაბორატორია, **დაიღუპა ბევრი ძვირფასი საცდელი ცხოველები,** დაიღვარა ნავთი, გაფუჭდა სამანქანო განყოფილება და მთელი რიგი ტეხნიკურ ინსტრუმენტებისა. ამხ. სემაშკომ, რომელსაც აფიქრებდა სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის და სხვა იმ დაწესებულებების ბედი, რომელშიაც მდებარეობენ ნევის მახლობლად, სასწრაფოდ მოითხოვა ცნობები ლენინგრადიდან სამეცნიერო ინსტიტუტების მდგომარეობის შესახებ.

ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ

მოსკოვი, 26 სექტ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიმართა ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს შემდეგი მოწოდებით: „ლენინგრადის მუშების საგრძნობი ნაწილი დიდათ დააზარალა წყალდიდობამ, მუშებს დაეღუპათ მთელი ქონება. ახლოვდება ზამთარი, ლენინგრადის დაზარალებული მუშები იძულებული არიან შეხვდენ მას მეტად მძიმე მდგომარეობაში. თუ დახმარება არ მივაშველეთ მათ, აუცილებელია გაჭირვება და ავადმყოფობის გავრცელება. პროფკავშირებში შეკავშირებულ მუშებს არ შეუძლიათ პასიურად უყურონ ლენინგრადის მუშების გაჭირვებას. **სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო მოუწოდებს კავშირის ყველა წევრებს გამოიჩინონ პროლეტარული სოლიდარობა და გაუწიონ შეძლებისდაგვარად დახმარება რევოლიუციის ავანგარდს, ლენინგრადის მუშებს, რომლებიც დაზარალდენ წყალდიდობის გამო.**

შეაგროვეთ ნებაყოფლობითი შემოწირულებები. შეკრებილი თანხები გადაგზავნეთ ლენინგრადის პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოში. პროფკავშირთა ორგანიზაციებო! დაეხმარეთ დაუყოვნებლივ ლენინგრადის პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს მის მძიმე მუშაობაში წყალდიდობის შედეგებთან საბრძოლველად.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

მოსკოვი, 26 სექტ. სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასდო 20,000 მანეთი წყალდიდობისაგან დაზარალებულ ლენინგრადის მოსახლეობის სასარგებლოდ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ „ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐ".

ვარშავა. 26 სექტ. ტულონიდან (საფრანგეთშია) გავიდა პოლონეთის სამხედრო გემი „ვარტა", რომელსაც პოლონეთისათვის მიაქვს საფრანგეთის მიერ დათმობილი სამხედრო იარაღები.

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ბერლინი. 26 სექტ. მიუნხენიდან იტყობინებიან, რომ ჰიტლერი და მისი თანამებრძოლი კრიბელი, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ 5 წლის ციხე, პირველ ოქტომბერს განთავისუფლებულნი იქნებიან ციხიდან.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ.

ვარშავა. 26 სექტ. 40 კაცისაგან შემდგარმა პარტიზანულმა რაზმმა პარახონოკ-ლიუბჩას შუა გააჩერა მატარებელი და მგზავრთ ჩამოართვა ფული. ამის შემდეგ მათ ააფეთქეს რკინისგზის ხიდი და მიიმალენ.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ბერლინი. 25 სექტ. გერმანიის ნაციონალისტური პრესა არ მალავს თავის კმაყოფილებას სახალხო პარტიის მიერ გუშინ მიღებულ რეზოლიუციის გამო. თავის რეზოლიუციაში სახალხო პარტია მოითხოვს მემარჯვენეთა შეყვანას მთავრობაში.

ᲕᲔᲠ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ.

პარიზი. 26 სექტ. გუშინ ერთა ლიგის საბჭო იხილავდა საკითხს მოსხულის შესახებ. მომხსენებელმა ბრანტინგმა აღნიშნა, რომ ამ საკითხში საფრანგეთის და ინგლისს შორის უთანხმოებაა და საჭიროა რაიმე კომპრომისული გზის გამონახვა.

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲐᲕᲘ?—ᲞᲐᲜᲘᲙᲐ.—ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.—ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘ.—ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ.—ᲜᲐᲕᲗᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ.

ლონდონი, 25 სექტ. „იუნაიტედ პრეს"-ის სააგენტოს ცნობით, **შანხაისთან მებრძოლ არმიების სარდლებმა დაიწყეს მოლაპარაკება დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ,** რის გამო ბრძოლა ფაქტიურად შეწყდა.

ჩე-კიანგის პროვინციის ჯარების სარდალი თანახმა შემოუშვას თავისი მოწინააღმდეგე შანხაიში სისხლის დაუღვრელად. ამავე დროს გენერალი ჩი-სუ-იუანი (უ-პეი-ფუს მოკავშირე) ემზადება შანხაისათვის ყუმბარების დასაშენად იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება უნაყოფო დარჩა.

პეკინი, 25 სექტ. მდგომარეობა სამხრეთ-ჩინეთის ფრონტზე ხელსაყრელია პეკინის ჯარებისათვის. **შანხაის მცხოვრებლებს შორის დიდი პანიკაა.** ხელისუფლებამ გარდა სამხედრო გემების 2000 მეზღვაურისა ჰოიწვია მოხალისეები არტილერიაში და კავალერიაში.

უცხოელთა კვარტალები გარშემორტყმულია სანგრებით და ეკლიანი მავთულით.

ჩრდილოეთის ფრონტზე შეტაკების შემდეგ ჩჟანძო-ლინის ჯარებმა უკან დაიხიეს. ჩან-ცზო-ლინმა მიმართა უცხოეთის კონსულებს წინადადებით, რომ გალაასახლონ ყველა უცხოელები ნავთსადგურიდან, რომელიც მდებარეობს 100 მილის მანძილზე ტიან-ძზინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ვინაიდან მას განზრახული აქვს ყუმბარები დაუშინოს ნავთსადგურს.

იტყობინებიან, რომ მოკლულია იუ-ნანის პროვინციის გუბერნატორი, გენერალი ტანგ-შო, რომელიც დანიშნული იყო სუნ-იატ-სენის მიერ ჩრდილოეთის საწინააღმდეგო ექსპედიციის უფროსის თანაშემწეთ.

უ-პეი-ფუმ განაცხადა, რომ საერთო მდგომარეობა სამხრეთით და ჩრდილოეთით სავსებით დამაკმაყოფილებელია. მას იმედი აქვს, რომ ჩჟან-ცზო-ლინის ჯარების ნაწილი გადავა მთავრობის მხარეზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ომის დასრულებისათვის.

სამხრეთის დამოუკიდებელი ფრონტი ვოტავილ-შანხაი გადავიდა პეკინის მთავრობის მხარეზე.

ნაუენი, 26 სექტ. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, ჩჟან-ცზო-ლინის სამხედრო მრჩეველი პოლკოვნიკი მაშინო ჩავიდა ტოკიოში, სადაც მას თათბირი ექნება იაპონიის სამხედრო ექსპერტებთან.

პარიზი, 26 სექტ. მუკდენიდან ტოკიოში მიღებული ცნობების თანახმად, **ჩჟან-ცზო-ლინის ჰაეროპლანები 24 სექტემბერს ბომბებს აყრიდენ უ-პეი-ფუს მთავარ ბინას, რომელიც იმყოფება შანხაი-გუანში. გრძელდება საარტილერიო ბრძოლა შანხაი-გუანის ფრონტზე.**

ნაუენი, 26 სექტ. კანადის მთავრობამ გაძლიერებული მეთვალყურეობა დააწესა წყნარი ოკეანეს ნაპირებზე, რათა ხელი შეუშალოს იარაღის შეზიდვას ჩინეთში.

შანხაიდან მიღებული ცნობით, დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყების გამო საომარი მოქმედება ორთავე მხრით შეჩერებულია.

ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲚᲐᲥᲘᲔᲑᲘ

ვენა. 25 სექტ. ავსტრიის პარლამენტის სხდომაზე პრემიერმა ზეიპელმა განაცხადა თავის მოხსენებაში, რომ ერთა ლიგამ გადასწყვიტა კიდევ განაგრძოს კონტროლი ავსტრიაზე.

ოტტო ბაუერმა სოციალ-დემოკრატების სახელით შეიტანა წინადადება, რომ უარყოფილ იყოს ერთა ლიგის დადგენილება. უცხოელთა კონტროლის გაგრძელება შეუძლებლათა ხდის დავაკმაყოფილოთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი არსებითი მოთხოვნილებანი, აწვავებს სამეურნეო კრიზისს და ხელს უწყობს უმუშევრობას. მთავრობის უმრავლესობამ უარჰყო ეს წინადადება და გადასწყვიტა მიიღოს ჟენევის დადგენილება.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ბერლინი, 25 სექტ. „როტე-ფანე"-მ გამოაქვეყნა გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის კომუნისტების პასივობა და უმოქმედობა უნდა მიეწეროს ხელისუფლების მხრივ მიღებულ ენერგიულ ღონისძიებებს. აკრძალვას, დაპატიმრებას, სასამართლოს განაჩენს, არევ-დარევა შეაქვთ კომუნისტების რიგებში. კომუნისტების „უმეთაუროთ" დატოვება წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას კომუნისტების ძალდატანებითი მოქმედებისაგან თავის დასაცავად. **გერმანიის კომპარტიის დასუსტების საუკეთესო საშუალებათ ითვლება წინამძღოლების წართმევა. მეორე საშუალებას წარმოადგენს გაზეთების აკრძალვა.**

ამ ჟამად ნათქვამია ცირკულიარში გერმანიის კომპარტია განიცდის მძიმე ფინანსიურ კრიზისს, ვინაიდან საბჭოთა კავშირისაგან მიღებული დახმარება უფრო მცირეა, ვიდრე წინად. პოლიციის თვალასხმის შიში ადუნებს კომუნისტურ პარტიის მუშაობას. **მაგრამ ეს ზომები საკმარისი არ არის კომუნისტების არალეგალურ მოქმედების შესასუსტებლად, რომლის სიმძიმის ცენტრად ითვლება ფაბრიკა-ქარხნების იაჩეიკები. ამიტომ ამ იაჩეიკებში უნდა გადავიტანოთ ჩვენი მთავარი მეთვალყურეობა.**

კომუნისტების მიმართ უკანასკნელ კვირაში გამოტანილი განაჩენი წარმოადგენს კიდევ ერთ საშუალებას კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მთავრობის გამოსვლები კომპარტიის ცენტრალურ და რაიონულ კომიტეტების წინააღმდეგ იწვევს უკანასკნელის დაშლას და პარტიულ აპარატის მოდუნებას. თვით ლიდერებიც კი უჩივიან დისციპლინის დაქვეითებას და მუშაობისადმი ინტერესის შესუსტებას პარტიის პასუხისმგებელ მუშაკებს შორის.

დღევანდელი მომენტი, ცირკულიარის სიტყვით, განსაკუთრებით ხელსაყრელია ყველა აღნიშნულ რეპრესიების გამოსაყენებლად.

ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲐᲨᲘ

ვენა. 25 სექტ. სამხრეთ ბესარაბიაში გლეხთა მღელვარება მეტად სერიოზულ ხასიათს ატარებდა. ტატარ-ბუნარის და ვოლხოვის მიდამოებში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. ბრძოლაში მოკლულთა საერთო რიცხვი აღწევს 500 კაცამდე.

მღელვარება კიდევ გრძელდება ოარაუს და სარკინელს მიდამოებში. 4 დაბა სავსებით განადგურებულია. ბრძოლას ადგილი ჰქონდა სამხრეთ ბესარაბიის იმ სოფლებში, რომლებიც ყველაზე უფრო დაშორებულია საბჭოთა კავშირისაგან.

ვენა, 26 სექტ. რუმინეთის მთავრობა ყალბი პროვოკაციული ცნობებით სცდილობს შესუსტოს ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოიწვია **ბესარაბიაში მომხდარმა მღელვარებამ. ოფიციალური ცნობების თანახმათ, სამხრეთ ბესარაბიაში მომხდარ მღელვარების დროს დაპატიმრებული** იქნა 50 კაცი, რომლებიც გადაყავთ კიშინიოვში სამხედრო სასამართლოში მისაცემათ. ცნობაში აღნიშნულია, თითქოს, დაპატიმრებულებს აღმოაჩნდათ ბესარაბიაში საერთო აჯანყების მოწყობის გეგმა. იქვე ნათქვამია თითქოს ბესარაბიის იმ ადგილებში, რომლებიც დასახლებულია რუსებით, უკრაინელებით და უნგრელებით, განზრახული იყო სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტების მოწყობა.

მღელვარების მონაწილეთა დაპატიმრება გრძელდება. გამოცემულია ბრძანება, რომლის თანახმათ მოსახლეობა ვალდებულია ყოველგვარი დახმარება გაუწიოს რუმინეთის ჯარებს. **წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში და მათ გაასამართლებს სამხედრო-საველე სასამართლო.**

ᲐᲛᲮ. ᲙᲚᲐᲠᲐ ᲪᲔᲢᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲐᲚ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲐᲛᲮ. ᲙᲚᲐᲠᲐ ᲪᲔᲢᲙᲘᲜᲘ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 25 სექტემბერი. ნიჟნი-ნოვგოროდში დაუბრკოლებლად მოხდა კოოპერატიულ პურის საცხობის ქსელის მოწყობა. კოოპერატიული პური აკმაყოფილებს მოსახლეობის მთელი მოთხოვნილების 60 პროცენტს. ამის გამო კერძო ვაჭრები უარს ამბობენ გამომცხვარი პურის ფასების აწევაზე.

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲞᲡᲙᲝᲕᲨᲘ

პსკოვი. 26 სექტ. 23 სექტემბერს პსკოვზე გადაიარა არაჩვეულებრივი სიძლიერის გრიგალმა, რომელიც დასავლეთიდან მოდიოდა. გრიგალს თან სდევდა ძლიერი წვიმა. ელვის გამონათება ისე ხშირი იყო, თითქოს ქალაქი განათებული იყო ელექტრონის ძლიერი სინათლით. არაჩვეულებრივი ძალის ნიაღვარი გრძელდებოდა ხუთი წუთი. გრიგალმა სახლებს მოხადა სახურავები, დაამტვრია პიშკრები და დათხარა ტელეგრაფის ბოძები. ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული.

ᲪᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ.

მოსკოვი. 26 სექტ. ცენტრალურმა აღმასკომმა კალინინის ხელისმოწერით გაუგზავნა ბუხარის საბჭოთა ყრილობას შემდეგი შინაარსის დეპეშა.

ცაკი უგზავნის სალამს სრულიად ბუხარის საბჭოთა ყრილობას და ულოცავს ბუხარის მშრომელებს ბუხარის სახალხო რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების დღეს. ცაკი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ბუხარის საბჭ. სოც. რესპუბლიკის შექმნით მტკიცე საძირკველი ჩაეყრება აღმოსავლეთის ყველა ჩაგრულ ხალხთა შეკავშირებას და საბჭოთა კავშირში მათ გაერთიანებას.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲬᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მოსკოვი. 26 სექტ. გაიმართა მოსკოვის საგუბერნიო კომისიის პირველი საორგანიზაციო კრება, რომელიც იხილავდა შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხს. მომხსენებელმა ლავროვმა აღნიშნა, რომ მთელი მუშაობა წარმოებებში შრომის ნაყოფიერების ასაწევად უნდა დაეკისროს ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

გაფრთხილება

სენაკის მაზრის, სალხინოს რაიონის კომიტეტის მიერ გაცემული ყველა საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად, მენშევიკურ ავანტიურის დროს რაიკომის შტემპელის გატაცების გამო.

სალხინოს რაიკომის მდივანი:—
პ. ჩარგაზია.

დაკარგულია საქ. კომპარტიის სენაკის მაზრის ორგანიზაციის წევრის ამხ. ლავრენტი დუტუს ძე კიზირიას მთლიანი პარტმოწმობა № 496.774 გამოცხადებულია გაუქმებულად.
სენაკის სამაზრო კომიტეტი.

დაკარგულია. საქ. კომპარტიის სენაკის მაზრის ორგანიზაციის წევრის ამხ. პლატონ კოსტასძე პერტაიას მთლიანი პარტმოწმობა № 497.004. გამოცხადებულია გაუქმებულად.
სანაკის სამაზრო კომიტეტი.

Ს. Კ. Პ. Ც. Კ. ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

(მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო).

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქალთა შორის მუშაობა წინა წლებთან შედარებით გაღრმავდა და გაძლიერდა; აგრეთვე გაძლიერდა ქალთა განყოფილებების გავლენა მუშა და გლეხ-ქალთა ფართო მასებზე.

მუშაობის გაღრმავება შედეგია ერთი მხრივ იმის, რომ საქართველოს მუშა და გლეხი ქალი აღარ არის ის რაც იყო სამი წლის წინედ. მან შეძლო იმის შეგნება, რომ ახალი საზოგადოების აშენებაზე და შექმნაზე ლაპარაკი ზედმეტია თუ თვითეულ მათგანმა არ მიიღო აქტიური მონაწილეობა აღმშენებლობით მუშაობაში, და მეორე მხრივ იმ განსაკუთრებული ყურადღების, რომელიც ამ დარგში მუშაობას ექცევა ს. კ. პ. ცეკას მიერ, როგორც საერთო იდეურ ხელმძღვანელობის მხრივ, აგრეთვე საუკეთესო კვალიფიკაციურ კომუნისტ ქალების ქალთა შორის მუშაობაში ჩაბმით.

ამ ჟამად საქართველოში ქალთა შორის მომუშავე ითვლება 97. ს. კ. პ. ცეკას საორგანიზაციო განყოფილების მიერ დაარსებულ იყო თვენახევრიანი კურსები, რომელშიც ცეკას ქალთა განყოფილებამ ჩააბა 9 მომუშავე, სამაზრო ქალთა განყოფილებების ინსტრუქტორები და ორგანიზატორები. საანგარიშო პერიოდში ცეკას ქალთა განყოფილებასთან მოწვეულ იქნა ორი თათბირი, რომელზედაც დასმული იყო შემდეგი საკითხები: მომუშავეების რაციონალურათ განაწილების, ცეკას ქალთა განყოფილების მუშაობის გეგმის დამტკიცება და საკითხები ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. გამომუშავებულ იქნა ექვსი თვის მუშაობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულ და გატარებულ იქნება სექტემბრის თვიდან. აგრეთვე გამომუშავებულ იქნა კომკავშირის ცეკას წარმომადგენელთან ერთად მოზრდილ ქალთა შორის მუშაობის გეგმა. თანახმად ცეკას სეკრეტარიატის დადგენილებისა ცეკას ქალთა განყოფილებას დაეთმო 15 პროც. კომუნივერსიტეტში, ცენტრპარტსკოლაში და მუშფაკებზე. ამჟამად კომუნივერსიტეტში ცეკას ქალთა განყოფილებამ წელს გაგზავნა 10 ქალი, ცენტრპარტსკოლაში 8 და ქართველ მუშფაკზე 15. ამათგანი სტიპენდიით 8. ზემო აღნიშნული მსმენელები გაგზავნილი არიან განსაკუთრებით მაზრებიდან.

ცეკას სეკრეტარიატში დასმულია საკითხი მაზრაში ქალთა შორის მომუშავეთათვის რვა თვიანი კურსების დაარსების შესახებ.

ქალთა განყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანოებთან ურთი-ერთ წარმომადგენლობის საშუალებით.

ს. კ. პ. ცეკამ დაადგინა მოეწყოს აჭარისტანში სპეციალური ქალთა კლუბები, რომლებშიაც მოწყობილ უნდა იქნეს სხვადასხვა დარგის არტელები, რისთვისაც ცეკამ გაიღო ორი ათასი მანეთი. ზემოაღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ცეკას ქალთა განყოფილების მიერ გადაგზავნილ იქნა ერთი თვით ინსტრუქტორი, რომელმაც ადგილობრივ მომუშავეებთან ერთად ჩაატარა ორგანიზაციული მუშაობა კლუბების მოსაწყობად. დღეს ბათომში არსებობს აჭარისტანის მშრომელი ქალთა ცენტრალური კლუბი. აგრეთვე გახსნილია მშრომელი ქალთა კუთხე ქობულეთში. ამ კლუბებს სათავეში უდგან ქალთა კომიტეტები, რომლებშიაც შედიან თვით აჭარისტანის მშრომელი ქალები. ცეკას ქალთა განყოფილებამ ამიერ-კავკასიის საოლქო ქალთა განყოფილებასთან ერთად გამოიმუშავა ზემოაღნიშნული ქალთა კომიტეტების მუშაობის გეგმა და გადაუგზავნა ბათომის ოლქის ქალთა განყოფილებას. გადაგზავნილია ადგილებზე ცირკულიარები და სხვადასხვა სახელმძღვანელო მასალები საანგარიშო პერიოდში—60. იმავე პერიოდში გადაეგზავნა მაზრებს შემდეგი ლიტერატურა: ამიერ-კავკასიის საოლქო ქალთა განყოფილების მუშაობის გეგმა 125 ცალი, და წიგნი „დელეგატკა"—150 ცალი.

ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დარგში ქალთა განყოფილება უწევს ყოველგვარ დახმარებას მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას.

მთელ საქართველოში დელეგატ ქალთა რიცხვი უდრის—2.200. ქალები სხვადასხვა ორგანოებში, ჩაბმულია—664 საბ. წევრი გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტებში,—200. აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოოპერაციაში, სახალხო სასამართლოებში და სხვა. ლენინის გაწვევით საქართველოში მიღებულია პარტიაში 150 ქალი.

ქალთა შორის მომუშავე.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

1923 წელს ქ. ფოთის სამხედრო ტაძარი გადაეცა კომკავშირს, ა. კ. კ. კომკავშირის აღმასკომმა გადასწყვიტა ეს ტაძარი მეცნიერების კერად გადაექცია.

1924 წ. თებერვლის თვის რიცხვებში, როდესაც ამ მიზნისათვის სამაზრკომის მიერ მოგროვდა 40—50 მანეთამდე, გადასწყდა ტაძრის კლუბად გადაკეთეთება. კომკავშირის ც. კ. ადგილობრივ პარტიულ კომიტეტის, აღმასკომის და სხვა საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით 1924 წ. 26 ივლისს ფოთის კომკავშირის სამაზრკომმა მოაწყო თავის კლუბის საზეიმო გახსნა. კლუბის დასამთავრებათ სამაზრკომის მიერ მოგროვილი და დახარჯული იქნა 1.600 მ. კლუბი გახსნილი იქნა ს. ა. ლ. კ. კ. დამაარსებლის და საუკეთესო ხელმძღვანელის ამხ. ბორის ძნელაძის სახელობაზე.—კლუბი მშვენივრად აქვთ მორთული როგორც სცენა, ისე დარბაზიც. დარბაზში თავისუფლათ დასხდება 600 კაცამდე. სცენის წინა ფარდაზე დახატულია სურათი „რევოლიუცია" (თოიძის). კლუბს აგრეთვე აქვს თავისი ბაღი 1 ქცევამდე, რომელიც საგანგებოდ არის შემოკავებული. საზეიმო გახსნის შემდეგ სულ გამართული იქნა 3 წარმოდგენა როგორც ფასიანი, ისე უფასო, რომელსაც დაესწრო მრავალი ხალხი. ამ ჟამათ კლუბთან დაარსებულია რამდენიმე წრეები, რომელთა მუშაობაშიაც ჩაბმული არიან, როგორც კომკავშირელები, ისე უპარტიონიც.

გ. ჯიბლაძე.

დღეს, შაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია

საქ. ცაკის პრეზიდიუმის არაჩვეულებრივი სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივანი ჰ. სახაშვილი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

იტყობინება, რომ დღეს შაბათს 27 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება

თბილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

საბჭოთა და პარტიულ სკოლების წარმომადგენელთა ყრილობა

პირველი დღე

25 სექტემბერს გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა და პარტიულ სკოლების წარმომადგენელთა ყრილობა.

თათბირი გახსნა ამხ. მ. ესენმა.

საზოგადოებრივ საგნების პროგრამის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ესენმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა და პარტიულ სკოლების მიზანია მოამზადოს საბჭოთა და პარტიული მუშაკები, რომლებსაც მუშაობა მოუხდება სოციალ--ეკონომიურ სარბიელზე. პარტიული სკოლები უნდა იძლეოდენ იმდენ ცოდნას, რომ კურსდამთავრებულნი კარგად ერკვეოდენ მუშაობაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის რთულ პირობებში.

საბჭოთა და პარტიულ სკოლების მსმენელთა შემადგენლობა უმთავრესად გლეხურია და რამდენად ეს სკოლები მიზნად ისახავენ გამოუშვას ადგილობრივად მომუშავე მუშაკები—იმდენად სამოსწავლო საგნების პროგრამა უნდა უახლოვდებოდეს ადგილობრივ მდგომარეობას და პირობებს—პროგრამაში უნდა იქნას შეტანილი ადგილობრივი მასალები.

პროგრამაში შეტანილი უნდა იქნას აგრეთვე რუსეთის უახლოესი ისტორია, სადაც უმთავრესი ყურადღება მიექცევა 1905 წლიდან 1917 წ.

დანარჩენი საგნები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს სკოლებში ეს არის: ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუცია, ეკონომიური პოლიტიკა, პარტაღმშენებლობის და პოლიტგანათლების დარგში მუშაობა და სხვა.

ორი წლის მუშაობით მსმენელებს უნდა ექნეს შესწავლილი ჩვენი სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მხარე. აგრეთვე პროგრამაში შეტანილი უნდა იქნას ეკონომიური გეოგრაფია—არა სტატისტიკური აღწერისთვის,—არამედ საწარმოო ძალების და სამეურნეო ფორმების გაგების მიზნით. საჭიროა აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის გავლა.

ეკონომიური პოლიტიკის კურსი, რომელიც აგრეთვე მეორე წელსაც ისწავლება იძლევა სრულ ახსნა-განმარტებას მსმენელებს საბჭოთა აღმშენებლობის პრაქტიკის შესახებ.

ისტორიიდან საბ. პარტიულ მეორე საფეხურის სკოლებში გადიან შემდეგ საგნებს: დასავლეთის უახლოესი და რუსეთის ისტორია; რ. კ. პ. ისტორია და აგრეთვე, სამივე ინტერნაციონალების ისტორია.

მეორე საფეხურის სკოლებიდან მსმენელები უნდა გამოდიოდენ აღჭურვილნი მარქსისტული მსოფლმხედველობით; მათ უნდა ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა გარდამავალ ხანაზე, როცა სახელმწიფო კაპიტალიზმიდან—გადადის სოციალიზმში. პარალელურად უნდა იქნას გავლილი ისტორიული მატერიალიზმი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

სხდომა დაიხურა საღამოს 9 საათზე.

მეორე დღე

(დილის სხდომა)

ამხ. ბიდილიოვის მოხსენება

ამხ. ბიდილიოვი აკეთებს მოხსენებას საბ.-პარტ. სკოლებში სამეცადინო პროგრამის შესახებ. იგი აღნიშნავს წარსულ ნაკლულოვანებათ და უჩვენებს, თუ რა გაუმჯობესება უნდა იყვეს შეტანილი როგორც საერთო პროგრამაში, ისე სწავლის მეთოდებში. თავის მოხსენების უმთავრეს საფუძვლად იღებს რ. კ. პ. ა. კ. საოლქო კომიტეტის მიერ გამოცემულ პარტსკოლების პროგრამას.

საორგანიზაციო საკითხი

ამხ. ხაჭაპურიძის მოხსენება

შემდეგ მოხსენებას აკეთებს საორგანიზაციო საკითხებზე ამხ. ხაჭაპურიძე. იგი ამბობს: თუმცა პარტსკოლები უკვე სამი წელიწადია, რაც არსებობენ, მაგრამ ჯერ მაინც ვერ გამოსულან საორგანიზაციო მშენებლობიდან. არ არის მტკიცე პროგრამა, არც ტეხნიკური ხელშეწყობა და არც შესაფერი ხელმძღვანელები. რ. კ. პ. ა. კავკასიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტსკოლები გადადიან მთავ. პოლიტ. განათლების ხელში. ეს დიდი უპირატესობაა ჩვენთვის, პარტია უნდა უწევდეს მხოლოდ იდეურ ხელმძღვანელობას.

საჭიროდ მიაჩნია უპარტიო მოსწავლენი უფრო მეტი იყვნენ მიღებული, ვიდრე განსაზღვრულია ახალი განკარგულების მიხედვით. ამის აუცილებლობას ასაბუთებს სტატისტიკური ცნობები სკოლებისა და მის შემადგენლობის შესახებ.

აუცილებელია საკმაოთ მომზადებული ხელმძღვანელები. საჭიროა ჩვენს პრესაში დაარსდეს განსაკუთრებული განყოფილება „საბ. პარტსკოლების შესახებ“ და ყველა მუშაკები უნდა იღებდენ იქ მონაწილეობას.

კვიცარიძე წინააღმდეგია საბ. პარტიულ სკოლების პოლიტ. განათლების ხელში გადასვლისა და მოითხოვს დარჩეს ისევ ცეკას ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამხ. ზავროვი ასწერს არა სახარბიელო პირობებს, რომელშიაც უხდებოდათ მუშაობა ადერბეიჯანის სკოლებს. რომ საქმე უკეთესად წავიდეს—პოლიტგანათლებამ ჩვენი ხვედრი თანხა უნდა გადასცეს ცეკას და ჩვენ მხოლოდ ცეკასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამავე აზრისაა თვით ადერბეიჯანის ცეკაც.

სხდომა გადაიდო საღამოს 5 საათისათვის.

ქალაქის რაიონის უპარტიოთა მეორე კონფერენცია

(მეორე დღე)

შრომის ნაყოფიერებისა და სამუშაო ხელფასის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ამხ. **სემკოვს**. მისი მოხსენება ყოველი მხრივ შინაარსიანი და საყურადღებოა.

წარმოების საკითხი—ამბობს მომხსენებელი—არის ცენტრალური საკითხი ჩვენი შინაური ეკონომიური აღორძინებისა.

ხელფასისა და შრომის ნაყოფიერობის საკითხი 21 წელშიაც იყო დასმული. ჩვენს მიერ, მაგრამ ეხლა უფრო მიუცილებელ ხასიათს ღებულობს იგი.

პურის მოსავალზე ჩვენი იმედები არ გამართლდა. იგი შარშანდელ მოსავალზე თითქმის ნაკლებიც არის. საზღვარ-გარეთ საბჭოთა კავშირი ვეღარ გაიტანს იმ რაოდენობას, რაც განზრახული გვქონდა, რომ შეგვეძინა ერთგვარი თანხა იქაურ ფაბრიკატების შესაძენათ.

რეალური შედეგი ჩვენი საგარეო ეკონომიური პოლიტიკისა ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, ამიტომ მთელი ჩვენი იმედი უნდა დავამყაროთ ჩვენ შინაურ წარმოება-მრეწველობაზე. ვალუტის განმტკიცებამ უფრო ნათლად გამოაშკარავა ჩვენი ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა. ეს მდგომარეობა კი აუცილებლათ საჭიროებს ნამდვილ გაჯანსაღებას. მშვიდობიანობის დროსთან შედარებით ჩვენი წარმოება 21 წელში წარმოადგენდა 16 პროც. 23 წ.—22 პროც. და ამ ჟამად კი—35 პროცენტს. ეს დიდი ჩამორჩენაა წინანდელ წარმოებასთან შედარებით.

ხელფასმა მთელი კავშირის მასშტაბით იმატა 90 პროც. შრომის ნაყოფიერებამ კი მხოლოდ—23 პროც.

რომ სავსებით გაჯანსაღდეს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, თუ შრომის ნაყოფიერება ვერ გადაუსწრებს ხელფასის მომატებას, უნდა გაუთანასწორდეს მაინც იმას.

ყველაზე უჩინარი და საშინელი მტერი არის ეკონომიური სიძნელენი. დღიურ მწვავე ამოცანას წარმოადგენს ფაბრიკატების გაიაფება და მუშათა და გლეხთა მჭიდრო დაკავშირება. წინეთ გლეხები იძენდენ ნაწარმოების 37 პროც. ეხლა კი მხოლოდ—25 პროც. ეს მიზეზია სიძვირისა.

საქონლის გაიაფება შესაძლებელია მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გაზრდით, იმდენად მაინც, რომ იგი გაუთანასწორდეს სამუშაო ხელფასს. ამისთვის საჭიროა მთელი სამუშაო დღის ნაყოფიერათ გამოყენება და შრომის კარგი ორგანიზაცია.

ხელფასის მომატება კი ამ ეკონომიურ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, იქნება ნამდვილი დაღუპვა ჩვენი ეკონომიკის. ამას კი არც ერთი მუშა და გლეხი არ მოისურვებს, რომელსაც კი ესმის თავის ინტერესი და ხელიხელ ჩაკიდებული იმუშავებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ჩვენი ეკონომიური ფრონტის გასაძლიერებლათ.

მოხსენება მდიდარი იყო სტატისტიკური ცნობებით, რაც ნამდვილ სურათს გვიშლიდა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობისას.

შემდეგ მომხსენებლათ ცენტ. საკ. კომ. და მუშ. და გლეხ. ინსპექციის შესახებ უნდა ყოფილიყო ამხ. ნაზარეტიანი. საპატიო მიზეზების გამო იგი ვერ გამოცხადდა. მის მაგიერ მოხსენება გააკეთა ზოგადათ ამხ. ოთარბეგოვმა.

იყო მრავალი შეკითხვები. მიღებულია რეზოლიუციები სამივე მოხსენების შესახებ და გადაეცა სარედაქციო კომისიას საბოლოვოდ დასამუშავებლათ.

კონფერენცია დაიხურა საღამოს 11 საათზე.

ფუხარა.

თბილისის საბჭოს განათლების სექციაში

ქალაქის საბავშვო სახლების რეორგანიზაცია და გადაჯგუფება

22 სექტემბერს შესდგა თბილისის საბჭოს განათლების სექციის სხდომა, რომელზედაც განყოფილების გამგემ ამხ. ქაცარავამ მოხსენება გააკეთა საბავშვო სახლების რეორგანიზაციისა და გადაჯგუფების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახლების სინამდვილემ განყოფილებას დაანახვა ბევრი არასასურველი მოვლენა, რომელიც წინეთ, ძველი რეჟიმის დროს მოწაფეთა ინტერნატებს, პანსიონერებს და საერთოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ახასიათებდა. დღევანდელ პირობებში ცხოვრებისგან დაშორებულ ახალთაობის აღზრდა დანაშაული იქნებოდა. წელს განყოფილების ზოგიერთმა პასუხისმგებელმა პირებმა რამოდენიმე ხანი დაჰყვეს მოსკოვში, სადაც ისინი გაეცნენ იქაური საბავშვო სახლების ცხოვრებას და მუშაობას; თბილისში დაბრუნებისას მათ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, შეიმუშავეს საბავშვო სახლების რეორგანიზაციის და გადაჯგუფების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ბავშვები გადაჯგუფებული იქნებიან ერთი სასწავლებლიდან მეორეში წლოვანებისა და ეროვნების მიხედვით და ამრიგად გადაჯგუფებულ სასწავლებლებიდან მოეწყობა საბავშვო კოლონიები (ახალშენები).

ახალშენებში იქნება არა მარტო საცხოვრებელი სახლები, როგორც აქამდი იყო, არამედ სკოლებიც, სადაც ისწავლიან ჰასაკისა და ეროვნების მიხედვით თავმოყრილი ბავშვები. წინეთ ბავშვები სხვადასხვა სკოლებში იყვენ გაფანტული და მათი ხელმძღვანელობა ერთი მთლიანი გეგმით ძნელი იყო. თბილისში განზრახულია მოეწყოს ორი ახალი ტიპის სკოლა: ერთი პლეხანოვის პროსპექტზე—ქართული სკოლა და ერთიც ავლაბარში—ქართულ-სომხური. ორთაჭალაში განზრახულია, მოზრდილ ბავშვთათვის მოეწყოს სახლი-კომუნა, სადაც მოთავსებული იქნებიან ოთხწლედ დამთავრებული ბავშვები. მათი აღზრდა იწარმოებს სამეურნეო მიმართულებით, ვინაიდან აქ ამისათვის ხელსაყრელი პირობებია (სახლი მოთავსებული იქნება მირზოევის ყოფ. აგარაკში).

დანარჩენი სახლები 200 ბავშვით გადატანილი იქნება აღბულაღში, სადაც ბავშვების აღზრდა აგრეთვე სამეურნეო მიმართულებით იწარმოებს. ამრიგათ სახლების რიცხვი მცირდება, მათი შინაური სტრუქტურა კი მიზანშეწონილათ ეწყობა. ბავშვების აღზრდა ერთდაიმავე ხელმძღვანელების ხელში იქნება და განყოფილებას საშუალება ექნება ბავშვებისაგან აღზარდოს რესპუბლიკისა და ხელისუფლებისათვის საჭირო მოქალაქენი, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან კომუნისტური სულისკვეთებით და მუშურ-გლეხური ფსიქოლოგიით.

განათლების ფრონტზე

პედაგოგიური ტეხნიკუმები

განათ. კომისარიატმა დაადგინა გაიხსნას სენაკსა და ოზურგეთში პედაგოგიური ტეხნიკუმები, იმ პირობით, თუ აღნიშნული სასწავლებლების შესანახ ხარჯებს გაიღებს ადგილობრივი ხელისუფლება.

სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები.

განზრახულია დამდეგ სასწავლო წლიდან ლანჩხუთისა, სენაკისა, ამბროლაურსა და მუკუზანში გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები, რისთვისაც წინადადება მიეცა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ამ სასწავლებლებისათვის მოსძებნოს საჭირო მასწავლებლები.

სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

ამ წელიწადში სასოფლო-სამეურნეო გასახსნელ სკოლებისათვის (3 კურსი) მუშავდება განსაკუთრებულ კომისიის მიერ კურსი და სამოსწავლო გეგმა.

მიმღები კომისია

განათ. კომისარიატის დადგენილებით მიმღებ კომისიების თავმჯდომარეებათ დაინიშნენ: სახელმწიფო უნივერსიტეტში—ამხ. სიმონ ხუნდაძე, ვ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში—ამხ. პიასეცკი.

სტატისტიკური აღრიცხვა

განათლების კომისარიატი, ა.-კ. სტატისტიკურ ცენტრ. სამმართველოს განკარგულების თანახმად, ამ მოკლე ხანში, არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა მოახდენს ყველა სამეცნიერო დაწესებულებების, ტეხნიკუმების და თბილისში არსებულ სხვა ქვემდებარე დაწესებულებების თანამშრომელთა აღრიცხვას.

სპეციალურ ტეხნიკუმების კურსდამთავრებულნი.

განათ. სახ. კომისარიატის განკარგულებით ნებადართულია გამოცდების ჩაუბარებლად ჩაირიცხონ ამ წელში სახ. სამეურნეო-ტეხნიკუმის, ჰიდრო-ტეხნიკურ განყოფილების კურს დამთავრებულნი სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟენერო ფაკულტეტზე; პროფ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიურ ტეხნიკუმის კურსდამთავრებულნი — საბუნებისმეტყველო დარგზე. ხოლო სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმის კურს დამთავრებულნი—სოც. ეკონომ. ფაკულტეტის ეკონომიურ დარგზე.

საქართველოს მონადირეთა კავშირში

1922 წლის ივლისის 15-ის № 5079 ნადირობის წარმოების წესების დამატებათ მიწ. მოქ. კომისარიატმა დაადგინა:

1. ნადირთა გასამრავლებლათ და მათ მოსპობის ასაცილებლად აკრძალულია პირველ იანვრამდე 1926 წლის ნადირობა თურაჯებზე და დედალ ხოხობზე.

2. 1924 წლის განმავლობაში სრულიად აკრძალულია ნადირობა ხოხობზე შემდეგ ადგილებში: 1) ბორჩალოს მაზრაში, 2) თბილისის და სიღნაღის მაზრების შემდეგ აგარაკებში: ნასადგომარში, ყოფილ ჩერქეზიშვილების მამულში, ყორულში, მდინარე იორის ველის ქვემო-ნაწილში, სოფ. ქვემო-მულანლოდან იორის ალაზანთან შერთვამდის და დასავლეთ საქართველოს ყველა ადგილებში გარდა ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებისა.

3. დანარჩენ ადგილებში ს. ს. ს. რ ტერიტორიისა ნადირობა მარტო მამალ ხოხბებზე ნებადართულია პირველ ნოემბრიდან 1924 წლ. პირველ იანვრამდის 1925 წლისა, ხოლო თითო ნადირობაზე არ უნდა მოიკლას უმეტეს ხუთი (5) მამალ ხოხბისა.

მეცნიერება-ტეხნიკა

მოძრავი ქუჩები

თანამედროვე დიდ ქალაქს სამი უმთავრესი მიმოსვლის საშუალება აქვს: ტრამვაი, ავტომობილი და ჩვეულებრივი ეტლი. ეს უკანასკნელი თანდათანობით ქრება დიდ ქალაქებში, რადგან როგორც თავისი „სისწრაფით“, ისე ცხენის შესანახად საჭირო დიდი ხარჯებით, სრულიად ზედმეტი ხდება ავტომობილებისა და ტრამვაის არსებობის დროს.

გარდა ამ საშუალებებისა დიდ ქალაქებს (ლონდონი, ბერლინი და სხვა) აქვთ ე. წ. მეტროპოლიტანები, ანუ მიწის ქვეშა რკინის გზა.

გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში დიდი ქალაქები მიმართავენ ახალ სატრანსპორტო საშუალებას.

ვის არ წაუკითხავს ინგლისელი მწერალის გ. უელსის ფანტაზია „როცა მძინარე გაიღვიძებს“. ის აღწერს კაცს, რომელმაც გაიღვიძა ორი საუკუნის ძილის შემდეგ და ლონდონში მოძრავი ქვაფენილები იხილა.

უელსის ეს ფანტაზია განახორციელა ქ. ჩიკაგომ (ამერიკა). იქ მოაწყვეს პატარა მოძრავი ქვაფენილი.

ეს სრულიად უბრალო სამგზავრო საშუალებაა. ჩვეულებრივ ქვაფენილზე მოწყობილია მეორე ქვაფენილი, რომელიც სიგრძით გაყოფილია 4-ათ, პირველი ნაწილი უძრავია, მეორე მოძრაობს 4 ნახევარ ვერსის სისწრაფით საათში, მესამე 9 ვერსის სისწრაფით და მეოთხე 13 ნახევარი ვერსის სისწრაფით.

ასევე ადვილია ამ გზით სარგებლობა. მგზავრი დგება პირველ (უძრავ) ნაწილზე; შემდეგ გადადის მეორეზე, თუ მას სურს უფრო სწრაფათ წასვლა, გადადის მესამეზე, თუ ეს სისწრაფეც არ აკმაყოფილებს—მაშინ მეოთხეზე, სადაც მგზავრებისათვის მოწყობილია საჯდომი.



მოძრავი ქვაფენილი.

ელექტრონის თვალი.

ელექტრონის თვალი არის მანქანა მეტად მგრძნობიარე, რომელიც მოწოდებულია ებრძოლოს ქურდების ხრიკებს და ხერხიანობას. მას სდგამენ სადმე შენობაში და იძლევა ნიშანს, როგორც კი მასზე დაეცემა სინათლე ანთებული წუმწუმის, ჯიბის ელექტრონის ფანრისაგან ან გალებული კარებიდან.

შესდგება ის პატარა ყუთიდან, რომელიც გავსებულია განსაკუთრებული ნივთიერებით, რომელსაც სელენი ეწოდება. სელენს აქვს ერთი თვისება—სხვადასხვანაირათ ატარებს ელექტრონის ტალღებს ანუ როგორც ამბობენ ცვლის წინააღმდეგობას განათების დროს. სელენის წინააღმდეგობა განათების დროს სუსტდება. ელექტრონის თვალს უერთებენ ელექტრონის მავთულს, რომელშიც გადის ელექტრონის ძალა, რომელიც ძლიერდება როცა თვალზე სინათლე ეცემა. ელექტრონის თვალს შეერთებული აქვს მეორე მავთული ზარით რომელიც დაიწყებს რეკას, როგორც კი თვალს სინათლე მოხვდება.



ელექტრონის თვალი მაგიდაზე.

მუშათა ცხოვრება

კრედიტი მუშებისათვის

(პროფკავშირის და მუშკოოპის საყურადღებოდ).

ერთი წელიწადია მას შემდეგ, რაც მუშკოოპიდან მუშებმა ნისიათ გამოიტანეს ფართალი, ფეხსაცმელები და ბევრი სხვა რამე, რაც მუშისათვის აუცილებელი იყო.

ბევრმა მუშამ გაიმართა ხელი, გამოცოცხლდა და შეიმოსა თავისი ცოლ-შვილით.

აგერ ზამთარი დგება და ბევრ მუშას არა აქვს სახლში თბილი რამე, რომ თვითონაც შეიმოსოს და თავის ცოლ-შვილიც შემოსოს.

მუშა რომ არ ჩავარდეს ზამთარში აუტანელ მდგომარეობაში, მას უსათუოდ უნდა დაეხმაროს თავისივე მუშური ორგანიზაცია, მუშკოოპი.

მუშკოოპი ნებას არ მისცემს თავის მუშა-წევრებს, რომ ისინი წავიდნენ „იარმუკაში“ და იქ შეიძინონ კერძო ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე ვაჭრებისაგან ძველ-ძველი ტანსაცმელები, რომელიც ვინ იცის, რა საშიში ავადმყოფობას შეიტანს მუშის ოჯახში.

მუშის ნაოფლარი კაპეიკი უნდა შევიდეს ისევ მუშათა ორგანიზაციაში მუშკოოპში.

მუშათა კოოპერატივს შეუძლია შემოსოს რამდენიმე ათასი მუშა, მას ნუ შეეშინდება და ნუ გაუკვირდება ასეთი მუშის მოთხოვნილება. **დღეს მუშკოოპი დგას თავის სიმაღლეზე. მას საქმე კარგად აქვს დაყენებული და ამ დროს ის დაუყოვნებლივ უნდა დაეხმაროს მუშებს.**

მუშკოოპო, მოდის ზამთარი, და ჩვენც შემოქცქერით.

მუშკორი **ელვა.**

მოღალატეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშებს შორის

(მთავ. სახელოსნოს ადგილკომის საყურადღებოდ).

მთავარ სახელოსნოს სადურგლოსაამქროში იმყოფება ერთი ვინმე მომუშავე გევორქოვი. თავის გამგესთან ცუდ განწყობილებაშია, რომელსაც შეუმჩნევია მისი სიზარმაცე სამსახურის შესრულების დროს. გამგისადმი სიძულვილს მოყვება მისი მტრობა და მასთან ერთად მუშებისთვის ზიანის მოტანა. იყო ასეთი მაგალითი: სარდაფში, სატრანსპორტო განყოფილებაში, გაჩნდა ცეცხლი, რომელიც იქნა ჩაქრობილი დროზედ, მუშების ერთგული დახმარებით, მხოლოდ გევორქოვს, რომელსაც შეუმჩნევია ეს ცეცხლი, ხელი არ გაუნძრევია ცეცხლის ჩასაქრობად, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი პირადი ინტერესების გულისათვის ის ღუპავს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს. ეს საქციელი უნდა აიხსნას, როგორც მოღალატეობა და უნდა აილაგმოს. ადგილკომო, მიაქციე ყურადღება!

მუშა ქ—ვა.

გაუსწორებელი სახლის პატრონი.

(აღმასკომის საყურადღებოდ)

სახლის პატრონს, გიორგი ვართანოვს, აქვს სახლი მე-9 უბანში (ალექსეევის ჩიხი № 3) და იქ თავის თავი მეფედ მიაჩნია. ამ სახლში სცხოვრობენ უმეტესი ნაწილი მუშა-მოსამსახურენი.—სახლის პატრონი ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გამოსთქვამს მუშებისადმი სიძულვილს. იგი სრულებით არ ასვენებს თავის დგმურებს; მეეზოვე არა ჰყავს, რის გამოც ეზო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ბუხრები არ არიან გაწმენდილები. იყო, მაგალითად, როდესაც სახლს მოეკიდა ცეცხლი და ძლივს ჩააქრეს. ეს ვაჟბატონი ძველებურად იქცევა, ჩხუბი და აყალ-მაყალი ჩვეულებად გადაექცა. დროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ამნაირ ქვა-ტვინა სახლის პატრონებს.

მუშკორი **მ. ხ. მ.**

მუშკოოპი იმარჯვებს.

რამოდენიმე თვეების უწინ, ეს ყველას ახსოვს, რომ გეყიდა პური მუშკოოპში საჭირო იყო დიდ რიგში ჩადგომა და რამოდენიმე საათებით მოცდა. დღეს ამას ადგილი არა აქვს. ყოველ დროს შეუძლია ყველას მუშკოოპის პურის საცხობებიდან ფუთობითაც შეიძინოს პური გაცილებით იაფ-ფასებში, ვინემ დარჩენილ აქა-იქ კერძო ფურნეებში.

ეს იმის დამამტკიცებელია, რომ პურის ფრონტზე მუშკოოპმა გამარჯვებას მიაღწია, და სრული დარწმუნებული ვართ დანარჩენებშიდაც მალე გაიმარჯვებს და მთელს სავაჭრო ბაზარს დაიჭერს.

ინფ. ბარნაბი.

მუშკომიც ასეთი უნდა.

ტფილისის მთავარი ფოსტის კანტორის მუშკომი ამხ. მდივანი, ამხ. პატარაძე, მუშების ხასიათის ძლიერ შემთვისებელი კაცია. ის დიდ ყურადღებას აქცევს მოსამსახურეთა ბინას, ფოსტის სისუფთავეს, მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების შრომის სკოლაში გაგზავნას. ჩვენს კანტორაში იშვიათია ისეთი მშრომელი, რომელსაც გაზეთი „მუშა“ და „კომუნისტი“ არ ჰქონდეს გამოწერილი. ბიბლიოთეკა მდიდარი გვაქვს. ამხ. პატარაძე კულტმუშაობის მოყვარულია. გვაკლია საჭირო წიგნები კიდევ, ამასაც, იმედია, ამხანაგი პატარიძე მალე შეიძენს, რომელზედაც კარგა ხანია ის ზრუნავს. ჩვენი ადგილკომი მუშათა ფაკულტეტზე და სახალხო განათლების კურსებზე წამსვლელ მოსამსახურეებსაც სათანადო ყურადღებას აპყრობს.

მთავარი ფოსტის მუშკორი **იორა-ძე.**

დიდი მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი

ინვალიდების სახლის № 1—გამგედ იმყოფება ამხ. კედროვი, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობას ამ სახლის დამაარსებელ ზუბალოვის დროიდან,—43 წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში მას არ უსარგებლია არც ერთხელ შვებულებით. დგება მუდამ დილის ხუთ საათზე, არიგებს პურს, ინვალიდებზე, შემდეგ მიდის ბაზარში და თავის ზურგით მოაქვს სავსე ტომრები, რის შემდეგ იწყებს მუშაობას კანცელარიაში და ასე ყოველდღე. აღსანიშნავია და დიდის მადლობის ღირსია ამხ. კედროვი ასეთი ენერგიული და თავდადებული მუშაობისათვის.

ინფ. **ი—ლი.**

რკინისგზელებში

ასჯერ დავწერეთ, ერთხელ მაინც გაიგონეთ!

(რკ. გზის სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ).

რამდენჯერ აღინიშნა ჩვენ პრესაში, რომ მთავარ სახელოსნოების უკან საცხოვრებელ ბინებში და მის ირგვლივ საშინელი სიბინძურეა. ამ ჟამად ციმბირის ჭირით ავად არის ამავე სახლებში მცხოვრების ზაზროევის ცოლი.

ნუ თუ ეხლა მაინც არ გამოიბერტყავს ყურს სანიტარული კომისია?

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება სანამ ამ ავადმყოფობას ეპიდემიური ხასიათი არ მიუღია.

მუშკორი **ელდორადო.**

რად ხდება ეს?

(სამტრედიის დამზღვევ სალაროს საყურადღებოდ).

ავგისტოს, დაახლოვებით 20-ში, სამტრედიიდან საექიმო სწალტუბოს აბანოებზე იქნა გამოგზავნილი ტელეგრაფის მოხელე ამხ. კახიანი. როგორც მისი საბუთებიდან სჩანდა, ის იყო გაგზავნილი თანახმად საექიმო საკონტროლო დადგენილებისა, როგორც „ქარები“-ანი. მიუხედავად ამისა, მას არ მიუღია ზემოხსენებულ სალაროდან არც ნახევარი თვის ავანსი და არც სასურსათო ფული, რომელიც თანახმად დადგენილების ყოველ მოსამსახურეს უნდა მიეცეს დღეში მანეთის რაოდენობით გამოსაკვები ფული. ჩემ შეკითხვაზე: თუ რად არ მიიღო მან ზემოხსენებული ფული, მან შემომჩივლა, რომ მე მივმართე დამზღვევ სალაროს და უარით გამომისტუმრესო. ვითომდა ზემოხსენებული დადგენილება გაუქმებული იყოს. საკვირველია! ვის ემსახურება სამტრედიის დამზღვევი სალარო თუ არა მუშა-მოსამსახურეს? თუ სხვა ამხანაგები სარგებლობენ იმ დადგენილებით, რისთვის არ უნდა ესარგებლა ამხ. კახიანსაც. ის ცოლ-შვილით იყო იქ და უსახსრობის გამო მან ვერ დაამთავრა აბანოებით სარგებლობა.

მუშკორი **ჯა—ძე.**

ძაღლები გვაწუხებენ

სოფელ მცხეთაში იმ უმთავრეს ქუჩაზე, რომელზედაც ზაჰესის მუშებს უხდებათ სიარული, ძალიან ფრთხილად უნდა იყონ ისინი, რომ ძაღლებმა არ დაგლიჯონ. ძაღლების უმრავლესობა ეკუთვნის ამ ქუჩაზე მოვაჭრეებს. საჭიროა ასეთ ძაღლების პატრონებს მიექცეთ ყურადღება და აგვაცდინოთ საფრთხეს.

მუშკორი **მგზავრი.**

რკინისგზელთა ქრონიკა

— **წ.-კ. [illegible]** თბ. დეპოს ადგილკომის კულტგანყოფილება აწარმოებს წერაკითხვის უცოდინარ მუშათა გადარჩევას.

— **მეცადინეობა კურსებზე.** დეპოსთან არსებულ ქართულ ენის წ.-კ შემსწავლელ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1-ლ ოქტომბრიდან.

— **რკინისგზელთა ყრილობისათვის.** რკინისგზელთა მე-5—ყრილობისათვის მუშაობის და კამპანიის ჩასატარებლად თბ. დეპოს მუშებში არჩეულია კომისია 3 კაცის შემადგენლობით. კომისიაში შედიან ამხ. **ვართანოვი, რადჩენკო,** და **ნადირაშვილი.**

— **მდგომარეობის საკითხი.** თბ. დეპოს მუშათა საერთო კრებაზე განხილული იქნება ვაგონების გამწმენდელების და გამცილებლების მატერიალური მდგომარეობა, რის გასაუმჯობესებლად მიღებული იქნება სათანადო ზომები.

— **შენობის გაფართოება.** თბ. დეპოს ადგილკომმა სთხოვა თბ. საუბ. პროფკავშირს იშუამდგომლოს რკ.-გზ. სამმართველოსთან იარაღების შესანახ შენობის გაფართოებისათვის თბ. დეპოში.

— **დეპოს წარმომადგენელი ეკონომიურ სამსახურში.** თბ. დეპოს ადგილკომმა სთხოვა საუბ. პროფკავშირს დანიშნოს რკ.-გზ. სამმართველოს ეკონომიურ განყოფილებაში თავის წარმომადგენელი; სასურველია დაინიშნოს წარმომადგენელი მემანქანეთა კავშირიდან.

— **ბრიგადებისთვის.** თბილისში ჩამოსულ მატარებლების ბრიგადებისათვის, დეპოს ადგილკომმა სთხოვა საუბ. პროფკავშირს იშუამდგომლოს სამმართველოსთან, მათთვის დასასვენებელ ბინების აღმოსაჩენად.

— **მანქანების უვარგის ნაწილების გადაზიდვა.** სახ. კომისარიაა საბჭოს ნებართვით თბ. მთავარ სახელოსნოებიდან მანქანების უვარგისი ნაწილები გადატანილ იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის საჭიროებისათვის, როგორც სამოსწავლო მასალა.

— **წმენდის უკანასკნელი დღე.** რკ.-გზ. შრომის ბირჟის უმუშევართა გამწმენდ კომისიამ უმუშევართა გაწმენდის უკანასკნელ დღეთ დანიშნა 30 სექტემბერი.

— **ინსტრუქტორები პროფუჯრედებში.** სამტრედიის საუბ. პროფკავშირმა ადგილკომებისა და პროფ. რწმუნებულების მუშაობის გასაცნობად დაგზავნა პროფუჯრედებში ინსტრუქტორები.

— **კავშირი ძლიერდება.** სამტრედიის საუბ. პროფკავშირმა კავშირის წევრებად დაამტკიცა 146 მუშა-მოსამსახურე რკ.-გზელი.

— **სეირნობა-წარმოდგენა.** დღეს, 27 სექტემბერს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა წარმოდგენით. ფასები ხელმისაწვდომია. საღამოს შემოსავალი გადაიდება თბ. საქ. სადგურის მუშათა სამხატვრო-სალიტერატურო სექციისათვის.

ინფორმ. **ა—ძე.**

ქრონიკა

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ პროფგანათლების სექციის წევრთა რიცხვში აღნიშნულია მ. მგელაძისა. **უნდა იყოს** ნიკო მგელაძე.

— **დელეგატ-ქალთა ყრილობა.** 10 ოქტომბერს ს. კ. პ. ც-ტის ქალთა განყოფილება იწვევს სრულიათ საქართველოს პირველ დელეგატ-ქალთა ყრილობას.

— **რემედასში.** კვირას, 28 სექტემბერს, დილის 10 საათზე ქართ. დივიზიის შტაბის ბინაზე დანიშნულია რემედასს-ის სრ. საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას უნდა დაესწრონ: ამხ. ამხ. დ. კანდელაკი, ა. რუხაძე, ს. ქურიძე, გ. ხოფერია, ჯაიანი, ცინცაძე და ზარტალი.

— **სასაკლაოს შეკეთება.** ამ ჟამად სწარმოებს ქალაქის სასაკლაოს კამერების საფუძვლიანი შეკეთება.

— **საქონლის ჭირის წინააღმდეგ** საბრძოლველათ ქ. კომუნალური განყოფილება შეუდგა შრატის დამზადებას.

— **ახალი ვაგონები.** ტრამვაის დირექცია ამ დღეებში გამოუშვებს დამატებით 5 ვაგონს ხაზებზე სამუშაოთ.

— **საზოგადო კრება.** წყალსადენის დირექციამ შეიძინა მუშათა მთ. კოოპერატივთან არსებულ საზოგადო კვების 3 აქცია.

— **წყლის წიგნაკების** შემოწმების უკანასკნელ ვადათ გამოცხადებულია 1 ოქტომბერი, იმ სახლებს რომლებიც აღნიშნულ ვადამდე არ აღრიცხავენ წყლის წიგნაკებს, შეუწყდებათ წყლის მიწოდება.

— **სახლი მუშებისათვის.** ზემოავჭალაში შეუდგენ ქვის 2 სახლის აგებას წყალსადენის მუშებისათვის.

— **იმ ბებია ქალებმა,** რომლებმაც დაამთავრეს საბებიო ინსტიტუტი, ჯანსახკომის დადგენილებით ვალდებულნი არიან იმსახურონ მაზრებში 2 წელიწადი.

— **სამხედრო სამეცნიერო წრების კონფერენცია.** ა.-წ. 6 ოქტომბერს თბილისში შესდგება სამხედრო-სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია.

— **დებულება წითელ სასადილოების შესახებ** უკვე შეიმუშავა სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა, დებულება ახლო ხანში დაეგზავნებათ წითელ სასადილოებს სახელმძღვანელოთ.

— **ქ. აღმასკომმა დაადგინა** დაარსებული იქნას აღმასკომთან ისეთი სპეციალური ორგანო, რომელიც მიიღებს ზომებს ქ. აღმასკომის და მისი ორგანოების აპარატების გასაუმჯობესებლად.

— **სახელმწიფო ენა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში** გასატარებლად წარდგენილი პროექტი, ა-კ. სახ. კომისართა საბჭომ განსახილველათ გადასცა კომისიას, რომელშიაც შედიან: ამხ. ამხ. ორახელაშვილი, გეგეჭკორი, ამბარცუმიანი ნაზარეტიანი და შავერდოვი.

— **საკონცესიო კომისია,** რომელიც უნდა დაარსებულიყო უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან, შესდგება ა-კ. სახ. კომისართა საბჭოსთან, ამავე კომისართა საბჭოს დადგენილებით.

— **მეტეხის ხიდის აგება.** ა-კ. უმაღ. ეკონ. საბჭომ დაამტკიცა მეტეხის ხიდის ასაგებათ წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვა 117,000 მან. რაოდენობით.

— **საჩივართა ბიურო.** ა-კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება, ა-კ. მუშათა-გლეხთა ინსპექციასთან საჩივართა ბიუროს დასაარსებლად.

— **სამეცნიერო წიგნებისა და** საქირურგო იარაღების შესაძენათ საზღვარგარეთ, საქ. ჯანსახკომის განკარგულებაში, საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა გადასდო 40,000 მან.

— **ქალაქის კომუნალური** განყოფილება შეუდგა დიდუბეში ახალი წისქვილის აგებას.

— **სამხ. რევტრიბუნალი.** 23 სექტემბერს სამხ. რევტრიბუნალში დანიშნული საკომენდატო სამმართველოს ყოფილ ადიუტანტის დავით სავანელის საქმე, მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, გადაიდო 3 ოქტომბრისათვის.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების კურსი წერა-კითხვის უცოდინართათვის განსაზღრულია 4 თვით, ხოლო წ.-კ. ცოტა მცოდნეთათვის 6 თვით.

— **წყალსადენის წითელი დირექტორი.** ინჟ. დიასამიძის განცხადების თანახმად ის განთავისუფლებულ იქნა წყალსადენის დირექტორობის თანამდებობიდან. წყალსადენის წითელ დირექტორად დაინიშნა ამხ. ბრეგვაძე.

— **წყალის მიწოდება.** ავგისტოს განმავლობაში ქალაქს მიეცა 24,763,585 ვედრო, რაც დღეში მიდის 820,000 ვედრო, ე. ი. ქალაქს ეძლევა 220,000 ვედრო მეტი წყალი დღემდი ვიდრე ეძლეოდა გასულ წელს.

— **ქალაქის ლომბარდმა** სასახლის ქუჩაზე (№ 3) გახსნა პირველი საკომისიო მაღაზია.

— **საბეითლო-სასანიტარო მეთვალყურეობა.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს საბეითლო-სასანიტარო მეთვალყურეთა შტატი.

— **წყალსადენის** სალაროში ამა წლის პირველ ნახევარში შემოვიდა 401,866 მან. და 16 კ. გასავალი ამავე ხნის განმავლობაში უდრის შემოსავალს, ხოლო გასავლის ანგარიშში შეძენილია 47,679 მან. და 87 კ. მასალა წყალსადენისათვის.

— **ჭირის წინააღმდეგ.** ქ. მიწადგანყოფილების საბეითლო განყოფილებამ აზერბეიჯანში საქონლის ჭირიანობის გამო, გადასწყვიტა, საქართველო-აზერბეიჯანის საზღვარზე გახსნას ორი სასანიტარო პუნქტი აზერბეიჯანიდან შემოდენილ საქონლის გასასინჯათ.

— **მინდვრის თაგვებთან ბრძოლა.** სატყეო კულტურის სექცია ამ ჟამად აწარმოებს მთაწმინდაზე ახლად გაშენებულ მცენარეებს შორის გავრცელებულ მინდვრის თაგვებთან ბრძოლას.

შემთხვევები.

— **შეპყრობა.** 24 სექტ. შეიპყრეს გ. ჩაგიძე, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

— **სიმულიანტების შეპყრობა.** როგორც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული, ამას წინეთ შეიპყრეს 5 შრომის შემნახველი კასის თანამშრომელი კორძაია, რომელმაც მოიგონა სახელმწიფო ფულის 1964 მ., დაკარგვა ტრამვაიაში, ამავე თაობაზე შეიპყრეს აღნიშნულ კასის მოლარე მოქ. კიკნაძე, რომელსაც კორძაიასთან ერთად უნდოდათ სიმულიაციის გზით კასის ფულის მითვისება.

— **ქურდი ცოლის ძმა.** სუფკარაპეტის ქ. 10 მცხ. მოქ. მოროხოვმა, აგარაკზე წასვლისას ოთახი დაუტოვა თვალყურსაგდებათ ცოლის ძმას სიხოევს, რომელმაც თვითონვე გაქურდა აღნიშნული ბინა და მიიმალა.

— **ქურდობა.** ლერმონტოვის ქ. № 4 მორგებული გასაღებით, გაქურდეს ნერსესოვის ბინა მისი თბილისში არ ყოფნის დროს, წაღებულია 2.0 მ. ნივთები.

— 24 სექტ. გრიბოედოვის ქ. № 19 გაქურდეს ვ. ოთხმეზურის ბინა, წაიღეს 350 მან. ნივთები.

— 25 სექტ. ღამით, სიღნის ქ. № 9, გაქურდეს ივ. კანანოვას ბინა, წაიღეს 630 მან

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი

21 სექტემბერს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართა ნიჭიერ კაპელმეისტერის სტოლერმანის და საორკესტრო მუსიკოსების კოლექტივის საპატივსაცემო კონცერტი.

პირველათ მიმდინარე სეზონში შესრულებული იყო რიმსკი-კორსაკოვის საორკესტრო სიუიტა „შეხერაზადა“, რომლის თემა აღებულია არაბული ზღაპრების ციკლიდან.

ამ სიუიტის შესრულების დროს არ კმარა ის, რომ კარგი დირიჟორი იყო. ამასთანავე საჭიროა, რომ კარგი მუსიკოსიც იყოს, ამ მუსიკას უნდა გრძნობდეს დირიჟორი და ის უნდა აგრძნობინოს ორკესტრსაც. შეხერაზადის მუსიკა სავსეა ინტუიციით, მელოდიით, მისი ჰარმონიზაცია და ინსტრუმენტოვკა მეტათ კოლორიტულია. აქ საჭიროა გამსჭვირვალე დინამიკა (ნიუანსები).

სიუიტის შესრულებაში კი ამ საღამოს არ სჩანდა არც ერთი ჩამოთვლილი მხარე. ეს აიხსნება იმით, რომ ორკესტრს არ გაუვლია რეპეტიციების საკმაო რიცხვი.

მშვენივრათ იყო შესრულებული მხოლოდ მე-4 ნაწილი „სინდბადების გემი“; აქ იყო ტემპერამენტიც, მკაფიო დინამიკაც და ხმოვანებაც.

ვაგნერის ოპერის „ტანჰეიზერ“-ის უვერტიურა ჩვეულებრივი მუსიკალობით იყო შესრულებული. ორკესტრმა კარგათ შეასრულა ვაკხანალია და მშვენივრათ გამოჰყო პილიგრიმების სიმღერის თემა, რომელიც ახასიათებს ნათელი დასაწყისის გამარჯვებას.

სოლისტათ გამოვიდა იაკობ ბროდსკი, რომელმაც წელს დაასრულა თბილისის კონსერვატორია. ნიჭიერმა ახალგაზრდამ აკადემიური სისწორით შეასრულა ბეთხოვენის სკრიპკის კონცერტი, რომელიც უძნელეს ნომრათ ითვლება სკრიპკის ლიტერატურაში. ლირიულ ადგილებში ბროდსკი მეტათ ბევრ გრძნობას აქსოვს. მის მიერ შესრულებული იყო აგრეთვე მოცარტის და ბოკკერინის ნაწარმოებები.

—

სამხატვრო ინსტიტუტში. ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ცოდნის საარმიო კლუბის სამხატვრო ინსტიტუტში შესასვლელად განცხადების შეტანის ვადა გაგრძელებულია 10 ოქტომბრამდე.

დამწყებთათვის არის მოსამზადებელი განყოფილება.

წითელარმიელები და პროფკავშირების მიერ გამოგზავნილი წევრები არ იხდიან სწავლის ფასს.

ყველა ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში (პლეხანოვის ქუჩა № 119).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციაში

სოფ. ვანი (ხარაგოულის რაიონი)

ამ სოფელში დაახლოებით ას კომლამდე მცხოვრები ითვლება. მიწის სიმცირის გამო მათ თითქმის მთელი წლის განმავლობაში უხდებათ შრომა, მაგრამ სარჩო მაინც საკმაო იშვიათად მოუდით, რის გამო ძლიერ სიღარიბეს განიცდიან. მორჩებიან, რა ნათესების მოვლა-შენახვას იძულებული არიან წავიდენ სხვაგან სამუშაოთ, რათა შიმშილით არ ამოუწყდეთ ოჯახი. ასე, რომ აქაური გლეხი მთელი 12 თვის განმავლობაში ქედ-წახრილ შრომას ეწევა. არის ხოლმე ხშირი შემთხვევა, რომ ძლიერი ავდრის დროს დაიძვრება მთელი მიწა ნათესით და მთელის ნაწელ-გულარს საწყალი გლეხისას ნიაღვარს გაატანს. თუ ამას გადაურჩა იგი, მაინც მხეცისაგან მოელის საშიშროება, ყანებს ბარად მაჩვი ანადგურებს და მთებში დათვი, რის გამო დაღლილ-დაქანცულ გლეხს უხდება ყარაულობა მთელ ღამეობით.

როგორია მათი კულტურული მდგომარეობა?

დღემდის განსაკუთრებით ამ ხალხს არავითარი სკოლისებური არ გააჩნდათ სოფელში. თუ ვინმე გამოჩნდებოდა მსურველი, თავის ბავშვისთვის ესწავლებინა, იძულებული იყო გაეგზავნა ხარაგოულში, რომელიც დაშორებულია სოფელზე 4—5 ვერსით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლიდანვე აქ დაარსდა სკოლა. გაზეთები აქ არ მოდის. ამის გამო დიდი გასავალი აქვს ჭორებს, რომლებსაც ბლომად გაიგონებთ. გლეხობას, კი სურვილი აქვს გაჰყვეს თანამედროვე ცხოვრებას და ყველაფერი იცოდეს. ყოველს ვინც მოვა ცენტრიდან ან მაზრიდან შემოეხვევიან და დიდის ინტერესით გამოკითხავენ ამბებს. სოფლის წურბელებს და მღვდელს ამ სოფელში ადგილი აღარ აქვთ, გაძევებული არიან. სოფლის ერთად-ერთი შესაკრები პუნქტი ეკლესია იყო, ეხლა იგი დაკეტილია და უმოქმედოა. შეიძლებოდა ამ ეკლესიაში სამკითხველოს გახსნა ან მისი დანგრევა და მასალით სკოლის აგება, რომლის შენობა სოფელს არ გააჩნია და იძულებულია კერძო შენობა იქირაოს.

საჭიროა ადგილობრივმა ამხანაგებმა მეტი ენერგია გამოიჩინონ და გამოაცოცხლონ კულტურულ-განმანათლებელი და პოლიტიკური მუშაობა.

ძ—კი.

ხალხის სიბნელე

სიღნაღის მაზრა

მაზრის მიყრუებულ და მივარდნილ სოფლებში მეფობს უკიდურესი სიბნელე, რასაც საჭიროა მიექცეს უაღრესი ყურადღება განათლების კომისარიატის მხრივ.

ამ სიბნელეზე აღმოცენებულია ყოველგვარი ცრუმორწმუნოება. ესევე არის მთავარი მიზეზი ჩვენი მეურნეობის პრიმიტიულ სტადიაში ყოფნისა.

ამ გარემოების საილიუსტრაციოთ მოვიყვან შემდეგ ფაქტს მაზრის მივარდნილ სოფლების ცხოვრებიდან.

ასეთ სოფლების რიცხვს ეკუთვნიან ზემო და ქვემო ქედი, გადაკარგულნი შირაქის თვალ-გადაუწვდენელ ველში. აქ ამას წინად გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელსაც ეწოდება ციმბირის წყლული. სენი მოედო საქონელს და მუსრი გაავლო. სენი გადაედო პატრონებსაც. ამის მიზეზი იყო ის, რომ პატრონები დაავადებულ საქონელს კლავდენ, ატყავებდენ და ტყავსაც საქმეში იყენებდნენ და ხორცსაც მიირთმევდენ. საქონლის წამლობაზე, ბეითალზე აქ წარმოდგენაც არა ჰქონიათ. მიმართავდენ მკითხავებს და მათ ალოცინებდენ. უკანასკნელიც თურმე ჩაასხამდა ჯამში წყალს, შიგ ჩააგდებდა ვერცხლის აბაზიანს და შაქრის ნატეხს და ამგვარად შეზავებულ „წამლით“ მკურნალობდა ავადმყოფ საქონელს.

საქონელი კი იხოცება და იხოცება. იხოცებოდენ პატრონებიც. მაგ., სოფ. არხილოს კალოზე მოკვდა ციმბირის წყლულით ორი კაცი. ქვემო ქედში გახდა ავად ამავე სენით ხუთი კაცი.

ხალხის სიბნელესთან მკაცრი ბრძოლაა საჭირო.

მეორე ნიმუში ხალხის სიბნელისა: თუმცა ქალ. სიღნაღში არსებობს სეტყვისაგან დამზღვევი სახელმწიფო დაწესებულების განყოფილება, მაგრამ მითი არ სარგებლობენ გლეხები და სეტყვას ეწირებიან მსხვერპლად. აგერ ამ დღეებშიაც დააზიანა სეტყვამ ვენახები სოფლებ ფაქირში, ანაგაში და კარდენახში.

დაეღუპა ხალხს მთელი წლის ამაგი.

რათ არ აზღვევს გლეხობა თავის ჭირნახულს? იმიტომ, რომ ამისი გაგება არა აქვს, იმიტომ, რომ მისი მამა-პაპა არ აზღვევდა, იმიტომ, რომ ის მიზდევს ანდაზას:

„რაც არ ექმნას პაპა-შენსა, ნურც შენ დახევ პარპაშებსა“. კიდევ იმიტომ, რომ მასთან არავინ მივიდა და აუხსნა, თუ რას ნიშნავს დაზღვევა.

სოფლის მასწავლებელო, სადა ხარ შენ? ეს ხომ სულ შენი საქმეა. ნუ ხარ კარ-ჩაკეტილი, გამოდი გლეხებში, ესაუბრე საჭირბოროტო კითხვებზე. შენი ლაპარაკი ათში ერთს მაინც ჩაწვდება გულში და ნაყოფს გამოიტანს.

ქიზიყის მოამბე.

სოფ. ახალშენი და ხუნდის უბანი (ცხინვალის რაიონი)

ეს ორივე სოფელი ერთობ დიდია და მრავალი მცხოვრებლებიც ყავს. ახალშენში და ხუნდის უბანში არავითარი პარტიული მუშაობა არ სწარმოებს. არარის მოწყობილი უჯრედი და არც ერთი პარტიული არარის მიმაგრებული ამ სოფლებში· აქ არ იმართება არავითარი კრებები, აქაურ ახალგაზრდობას სურს ჩაებას პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი არა ყავს. არ ვიღებთ არც გაზეთს, არც წიგნებს. ვცხოვრობთ სიბნელეში. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, ვისაც ეს შეეხება და პარტიული და კულტურული მუშაობა მოაწყოს.

მუშკორი **ი. გაგიევი.**

პროვინციის ქრონიკა

— **წითელი სასადილოები სოფლებში.** გორის სამაზრო გლეხკომს გახსნილი აქვს წითელი სასადილოები ქარელში, კავთისხევში, გომში, ალში და ტყვიავში.

— **სენაკის მაზრაში** აყვანილ იქნა სოციალურ უზრუნველყოფაზე ბანდიტებისაგან დაზარალებული 8 მოქალაქე.

— **გლეხების კომუნა.** გორის სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა სოფ. ტეზერის გლეხთა კომუნა.

— **წყალსადენი.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა ე. წ., „ლეჟავების უბანში“ წყალსადენის გასაყვანად და ქუჩების შესაკეთებლად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა 1924 წლის სექტემბრის 22.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის სამმართველოს დაარსების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რათა განხორციელებულ იქნეს სანიტარული ზედამხედველობა და საექიმო დახმარება ამიერ-კავკასიის სარკინისგზო ზოლში (ხაზითურთ) მოეწყოს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის სამმართველო.

2. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის სამმართველო არის ცენტრალური ორგანო, რომელიც ექვემდებარება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

3. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის საქმის საერთო ხელმძღვანელობა ეკუთვნის ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და განხორციელდება აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისართა თათბირების მეშვეობით, რომელიც მოიწვევა ხოლმე პერიოდულათ.

4. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი, რომელსაც დანიშნავს და უკანვე გაიწვევს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისართან თათბირთან შეთანხმებით.

5. ამიერ-კავკასიის რკინისგზათა ჯანმრთელობის საქმის უშუალოდ განაგებს სამმართველოს უფროსი, რომელიც წარუდგენს ხოლმე ამიერ-კავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე საექიმო-სასანიტარო საქმის დაყენების შესახებ და ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ.

6. თანამდებობის პირთა და საექიმო-სასანიტარო დაწესებულებათა შესანახ სახსარს შეადგენს თანხა, რასაც გასცემს ამიერ-კავკასიის საგზაო სადასაზღვეო კასა და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს მიერ გაცემული დოტაცია.

7. ამიერ-კავკასიის რკინისგზათა ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსს ევალება ორი კვირის განმავლობაში შეადგინოს დებულება ხსენებული დაწესებულების მმართველობის შესახებ და წარუდგინოს დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

8. ამ დადგენილების გამოქვეყნებისათანავე გაუქმებულ იქნეს რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ამიერ-კავკასიის რკინისგზათა ჯანმრთელობის განყოფილება და მისი ფუნქციები და ქონება გადაეცეს ახლად დაარსებულ ამიერ-კავკასიის რკინისგზათა ჯანმრთელობის სამმართველოს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ჩვენი ფოსტა

გორი. ცეკავშირის გორის განყოფილების ამხ. თანამშრომლებს და ადგილკომის მდივანს ამხ. ი. სტეფანოვს.

მივიღეთ თქვენი წერილი. საქმის სასწრაფოთ გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ თქვენ სრულიად მართალი ხართ: ფული დროზეა მიღებული. როგორ მოხდა სამწუხარო შეცდომა ამის შესახებ დღეს თქვენ მოგწერთ დახურულ წერილს კანტორა. ექსპედიციას მიეცა განკარგულება დღეიდან გიგზავნოსთ 17 ეკზემპლიარი „კომუნისტის“. თქვენზეა დამოკიდებული ისურვებთ ხელისმოწერის დრო ჩავთვალოთ (რადგან სექტემბერი თავდება) ოქტომბრის პირველიდან იანვრის პირველამდე, თუ მიიღოთ „კომუნისტი“ პირველი სექტემბრიდან. უკანასკნელ შემთხვევაში დანაკლისი ეკზემპლიარები გამოგეგზავნებათ. პირველ შემთხვევაში გაზეთი გეგზავნებათ **ხვალიდან პირველ იანვრამდი.**

გარდა ამისა, როგორც სამი თვის ხელის მომწერთ, **წინდაწინვე გიგზავნით** კუთვნილ პრემიას.

თქვენი პირველი წერილი არ მიგვიღია, თორემ საქმე უფრო ადრე გამოირკვეოდა და არა თვის მიწურულში.

ყველა მსგავს შემთხვევებში (თუ ასეთებს ექნება ადგილი და **ამას ვამბობთ ყველა ხელის მომწერთა საყურადღებოთ) გთხოვთ მოგვმართოთ უშუალოთ ჩვენ, რედაქციას.**

რედაქცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ორშაბათს სექტემბერს 29-ს საღამოს სრულ 5 საათზე ს. კ. პ. ცეკას შენობაში მოწვეული ს. კ. პ. ცეკას **საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა.**

ვინაიდან განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, სავალდებულოა ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება.

ფანცხავა (მიწა-ტყის მუშ. პ | კავშ. მდივანი) ნარჩემაშვილი (მედსანშრომის კავშირის მდივანი), საკიანი (რ. კ. პ. ა | კ. საოლქო კ-ტი), კრუგლიკოვი (კავკ. წ | დროშ. არმიის პოლ. სამმართველო), კვირიკაძე (1 ქართ. დივ. პ | განყ.), ატოევი (ს. კ. პ. ს. საორგ. განყ. გამგე) და ს. კ. პ. ცეკას განყოფილებებისა და ქ | განყოფილებების გამგენი და ინსტრუქტორები.

ვთხოვთ ამხანაგებს არ დაიგვიანონ.

ს. კ. პ. ცეკას საორგ. კოლეგიის მდივანი: ციხელშვილი.

განცხადებები

კვირას ა | წ. 28 სექტემბერს, დღით 12 საათზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე ვერაზე დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი ეკრანის მსახიობი—ქალისა

თამარა საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დედა—მარიამ და ძმა სიმონ საყვარელიძეები.

№ 2182 1—1

ზაქარია ივანეს ძე კოპლატაძე მეუღლით სუსანა ასლანის ასული და ქალიშვილით თამარათი ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ მეგობართა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 25 ენკენისთვეს ამაწელს გარდაიცვალა პირველებისა შვილი და მეორესი და

ეთერი

გასვენება მოხდება შაბათს 27 სექტემბერს ბინიდან მათინოვის ქ. № 12 ნაშუადღევის 4 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე.

1—1 № 2184.

„კომუნისტი“

მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ., 2 თვით—1 მან. 10 კაპ., წლის ბოლომდი—1 მან. 80 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში
(ბინაზე მიტანით)

1 თვით	85 კაპ.
2 „	1 მან. 60 „
წლის ბოლომდი . .	2 „ 40 „

პროვინციაში
(გაგზავნით)

1 თვით	95 კაპ.
2 „	1 მან. 80 „
წლის ბოლომდე . .	2 „ 70 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“

ოქტომბრის პირველიდან გაზეთის თითო ეკზემპლიარი ეღირება 5 კაპ.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის მელიქოვის ქუჩა № 8)

აცხადებს, რომ კვირას 28 ამა სექტემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა, (გასასყიდი გირაობის ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.)

დამგირავებლებს შეუძლიათ საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე გამოისყიდონ ან გადააგირაონ გასასყიდათ დანიშნული ნივთები.

1—1 ნ. № 1581

ქ. თბილისის მე-3—4 რაიონების სასამართლო აღმასრულებელი ა. ა. ბებეჭკორი ამით აცხადებს რომ, ის 1 ოქტომბერს 24 წ.

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის ნიკოლოზ და ძმუ ძმისტარიშვილების მოძრავ ქონებას: პუშკინის ქ. № 4. (დარაბა № 1909) დღეს 1 ს. ხუთმეტ ტომარა ფქვილს 1 ხარისხისას, შეფ. 250 მანეთად, ხოლო ბებუთოვის ქ. № 5 ხის ავეჯს პურჭელს და სხვ. შეფასებულს 108 მანეთად დილის 11. ს. ნინა ანტონოვივალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 15 მაისის 1924 წ. თარიღით, № 792, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1—1

ტფილისის საბირჟო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ტფილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 82 მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „კომუნისტი“-ს 19 სექტემბრის 214 №-ში, ამა თვის 20-დან შემოღებულია

ადგილობრივი გადასახადი საფონდო და საქონლის გარიგებებზე

გადასახადი ვრცელდება როგორც საბირჟო, ისე ბირჟაზე რეგისტრაციაში გატარებულ ბირჟის გარეშე გარიგებებზე (ერთი მეოცედი პროც. ფართო მოხმარების ნივთებზე და ერთი მეათედი პროც. დანარჩენ საქონელზე).

გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს გარიგების რეგისტრაციის დროს.

საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: გ. აგაბაბოვი.
ნ. 1569 2—2 მდივანი: ვ. ჯაფარიძე.

ტფილისის საბირჟო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად თბილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა № 82, ამა ენკენისთვის 20-დან შემოღებულია

ადგილობრივი გადასახადი ყოველგვარ გარიგებებზე

რომლებიც სრულდება ან რეგისტრაციაში ტარდება თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟაზე, როგორც კერძო პირების და საზოგადოებების, ისე მთავრობის ყველა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ.

გადასახადი შემოტანილ უნდა იქნეს გარიგების რეგისტრაციის დროს.

საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. **გ. აგაბაბოვი.**
მდივანი. ვლ. **ჯაფარიძე.**
ნ. № 1574 2—2.

მიიღება ხელის მოწერა

ფილიპე მახარაძე

თხზულებათა კრებული

12 ტომათ.

I ტომი: წერილები სხვადასხვა საკითხებზე, 1895—1902 წ. წ.
II ტომი: წერილები სხვადასხვა სახითხებზე, 1903—1906 წ. წ.
III ტომი: წერილები სხვადასხვა საკითხებზე, 1907—1916 წ. წ.
IV ტომი: ნაციონალური საკითხი.
V ტომი: სიტყვა-კაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა
VI ტომი: მარქსიზმის დასაბუთება და დაცვა
VII ტომი: აგრარული საკითხი
VIII ტომი: ეკონომიური საკითხები
IX ტომი: მენშევიზმის წინააღმდეგ
X ტომი: ბურჟუაზიული რევოლიუციიდან პროლეტარულ რევოლიუციისაკენ
XI ტომი: ხელისუფლების სათავეში
XII ტომი: ხელისუფლების სათავეში

ყველა ტომები ეღირება 16 მან.

ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 6 მანეთი, პირველ დეკემბერს 5 მანეთი და პირველ იანვარს 5 მანეთი. უკვე დაბეჭდილია და დაურიგდება ხელისმომწერლებს პირველი (წერილები სხვადასხვა საკითხებზე 1895—1902 წ. წ.) და მეორე (ნაციონალური საკითხი) ტომი.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: 1) სახელმწიფო გამომცემლობაში, 2) სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში და 3) მთავარ პოლიტიკურ განათლების სამართველოს წიგნის მაღაზიაში.

პროვინციაში: საქართველოს კომუნისტური პარტიის სამაზრო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებსა და სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიებში.

ნ. 1571 4—2

სახელმწიფო გამომცემლობა.

ა|კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს სავაჭრო-სამრეწველო წარმოებასა და პირად სარეწავ საქმიანობის მქონე პირთა საყურადღებოთ, რომ 1924—25 წ. წ. 1-ლ ნახევრისთვის (ოქტომბერი—მარტი)

სარეწავი მოწმობების

(პატენტების) აღების ვადა დაწესებულია **პირველ ოქტომბრამდე** და გადამხდელების მიერ ფინანსთა ინსპექტორებთან ბრუნვის შესახებ განცხადების შეტანის **15 ოქტომბრამდე**

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო წარმოებანი

ვალდებული არიან

აღნიშნულ ვადამდე აიღონ სათანადო მოწმობები როგორც წარმოებებზე, ისე წარმოებებში მოსამსახურე პირებზე,

წინააღმდეგ შემთხვევაში

თანახმად სარეწავი გადასახადის ინსტრუქციისა 83—84 მუხ. მუხ. მათ ფინინსპექტორების მიერ შეუდგებათ ოქმები და

დაჯარიმებული იქნებიან

მოწმობებთან ერთად გადამხდელები იძენენ მე-2-ე მომგებიანი სესხის ობლიგაციებს

ა. № 1577 1—1

ა | კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის მოადგილე—ი. ფანცხავა
გადასახადთა განყოფილების მმართველი [illegible] ჩიქოვანი

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—5

საჭიროა ძიძა

ოთხი თვის ბავშვისთვის. პირობების გაგება სემიონოვის ქუჩა № 23 ბინა № 1.

№ 2181 1—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 2100 25—5.

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72.

№ 2005 25—10.

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—9

ექიმი

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ექიმობს მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას

ელექტრო-სინათლის

სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111, ბინა 2

ქვ. № 2052—25—8

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

რუსთველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.

ქვ. № 2046 25—8

დავკარგე 1. პირადობის მოწმობა 2. საღრიცხვო ბარათი № 713. 3. უმუშევრების მოწმობა ირაკლი ალექსანდრეს ძე დეკანოზიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 2185 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 23206 ნიკო გიორგის ძე ზუბაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 2186 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი ფორმა 4 № 1103 გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ ვლადიმერ ექვთიმეს ძე ზარელუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 2183 1—1

დავკარგე პირადობის და სვირის ხიდზედ გასასვლელი მოწ. მოცემული ჩხარის სარაიონო აღმასკომისაგან № 4361 და პირადი წიგნაკი მოცემული ჩხარის რაიაღმასკომთან არსებულ სამხედრო მაგიდისაგან ვასილ ასლანის ძე ფანჩხულიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ
№ 2180 1—1

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 1473 სერგო ოტმერსის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 2179 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1046 ივანე ზაქარის ძე ფალვანდიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 2178 1—1

დავკარგე ლომბარდში დაგირავების მოწმობა № 1986 დიმიტრი სოლომონის ძე ბაგრატიონის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 2191 1—1

დავკარგე საქართველოს ახალ. კომუნისტური კავშირის წიგნაკი № 9155 და მასწავლებელთა კავშირის წიგნაკი № 144 ტიხონ სიოს ძე მამულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 2190 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, საშ. წულუკიძის ქუჩა № 4.